645
1977/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1977 წ.



თბილისში, ავჭალის გზატკეცილზე გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლი, რომელიც ერთადერთია ამიერკავკასიაში.

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი კონსტიტუციის პროექტი და ქალი

თინათინ წერეთელი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

25803

ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ეცნობა ღირსშესანიშნავ დოკუმენტს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელშიც ასახულია, ერთი მხრივ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი შეგნებისა და ზნეობის ის მაღალი დონე, რომელიც თანამედროვე საბჭოთა ადამიანს ახასიათებს.

მეტად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის პროექტში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაცია. კონსტიტუციის ერთერთ თავში — მოქალაქეთა ძირითადი უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების შესახებ — დამატებულია ახალი უფლებები, რომლებიც თანაბრად ეკუთვნის მამაკაცსაც და ქალსაც. ეს არის უფლება საცხოვრებელ ბინაზე, კულტურის მიღწევებით სარგებლობაზე; გარდა ამისა, მოქალაქენი უზრუნველყოფილი არიან მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლებით. ახალ კონსტიტუციაში ამ უფლებათა და თავისუფლებათა შეტანა იმას როდი ნიშნავს, რომ დღემდე ამ უფლებებს არ იცავდნენ; პირიქით, სწორედ ამ უფლებათა დაცვის მაღალი დონის წყალობით გახდა შესაძლებელი მათი გამოცხადება ადამიანის კონსტიტუციურ, ე. ი. ძირითად უფლებებად.

სახელდობრ, საბჭოთა კავშირში დიდი ხანია განხორციელდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. იგი მატერიალურ და კულტურულ სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული მიღწევების შედეგია.

სკკპ XXV ყრილობაზე განსაკუთრებით აღინიშნა ქალის როლის მნიშვნელოვანი ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებმაც უნდა გააუმჯობესონ ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, ხელი შეუწყონ ქალს შვილების აღზრდაში.

საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვაში. მათ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად ირჩევენ. 1975 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ადგილობრივ საბჭოებში 23.704 ქალი იყო არჩეული, რაც დეპუტატთა საერთო რიცხვის 48,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში — 142 ქალი, რაც დეპუტატთა საერთო რიცხვის 35,5 პროცენტია. მნიშვნელოვნად იმატა ქალთა რაოდენობამ 1977 წლის 19 ივნისს ჩატარებულ არჩევნებში. ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 49,371 სახალხო დეპუტატი, აქედან 23.963 ქალია ე. ი. 48,5 პროცენტი, ხოლო თბილისის საქალაქო საბჭოში 640 დეპუტატიდან 323 ქალია, ე. ი. 50,4 პროცენტი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალი კაცის თანაბრად შრომობს. არის ისეთი დარგებიც, სადაც ქალები კაცებზე მეტნი არიან. დიდია ქალის როლი ინტელექტუალური შრომის სფეროში, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება. თუ 1959 წელს მეცნიერებისა და კულტურის დარგში ქალების რაოდენობა 52 პროცენტი იყო, 1975 წელს იგი 59 პროცენტამდე გადიდდა.

საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავს ქალის შრომის, ყოფისა და ჯანმრთე-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო [illegible]
ბიბლიოთეკა

ლობის გაუმჯობესებისათვის. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ცხოვრებაში განხორციელების მიზნით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეხუთე სესიაზე, კავშირისა და ეროვნებათა საბჭოსთან შეიქმნა ქალის შრომისა და ყოფის, დედათა და ბავშვთა დაცვის კომისიები.

კონსტიტუციის პროექტი კიდევ უფრო სრულყოფილად ითვალისწინებს ბევრ ღონისძიებას, რომლებიც უზრუნველყოფს ქალისა და კაცის თანასწორობას. პროექტის 35-ე მუხლში ვკითხულობთ: „ქალებისათვის თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში; სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებები ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, კერძოდ, ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და შეღავათების მიცემა; მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევა“.

ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა ახალ ძლიერ სტიმულს მისცემს საბჭოთა ქალს შემოქმედებითი ძალების შემდგომი ზრდისა და აღმავლობისათვის.

სრულიად ახალი და მეტად საყურადღებოა კონსტიტუციის პროექტში ის მუხლები, რომლებიც ოჯახსა და შვილების აღზრდას შეეხება. აქ ჩანს საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვა ოჯახის სიმტკიცისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. კონსტიტუციის 53-ე მუხლში მოცემულია, რომ სახელმწიფო იცავს ოჯახს, რომ ქორწინება ქალსა და კაცს შორის ნებაყოფლობით ხდება, თანაც მეუღლენი ოჯახურ ურთიერთობაში თანასწორნი არიან. ოჯახი, რომელიც აგებულია ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე, და რომლის შექმნისას არ შეიძლება იყოს რაიმე მატერიალური დაინტერესება, მტკიცე უჯრედია, სადაც ნიადაგი იქმნება ნამდვილად ჯანსაღი ადამიანების აღზრდისათვის, სადაც საფუძველი ეყრება კომუნიზმის მომავალი მშენებლების მსოფლმხედველობას, მათს ზნეობრივ მრწამსს, მათი ხასიათის ძირითად თვისებებს.

კონსტიტუციის პროექტი მარტო იმას კი არ აცხადებს რომ იცავს ოჯახს, არამედ მიუთითებს იმ დახმარებაზე, რასაც სახელმწიფო უწევს ოჯახს ბავშვების აღზრდაში. ეს არის საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელი, საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება, დახმარება და შეღავათებ მრავალშვილიანი დედებისათვის, დახმარება ბავშვის დაბადების გამო. კონსტიტუციის პროექტში ოჯახის დახმარების გათვალისწინება იმის გარანტიას იძლევა, რომ კიდევ უფრო განვითარდება შრომის სამართლის ის ნორმები, რომლებიც მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ეს სოციალისტური ჰუმანიზმის უდიდესი გამოხატულებაა.

კონსტიტუციის პროექტი, ითვალისწინებს რა ასეთ ფართო შესაძლებლობებს ბავშვთა აღზრდის საქმეში, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აკისრებს მოვალეობას იზრუნონ შვილების აღზრდისათვის, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, აღზარდონ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. ეს მოვალეობა კონსტიტუციის პროექტის 66-ე მუხლშია მოცემული. ბავშვის ფსიქიკა მზად არის აითვისოს ყოველივე კარგი, თუ კი მას დროზე მიაწვდიან და შთაუნერგავენ. სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრების აღზრდა ყოველი საბჭოთა მოქალაქის, ყოველი მშობლის წმიდათაწმიდა მოვალეობაა, რადგანაც ჩვენი შვილები ხვალინდელი დღეა, ჩვენი მომავალია, რომელსაც იმედით შეჰყურებს და შეჰხარის დღევანდელი თაობა.

ბუნებრივია, შვილების აღზრდის ტვირთი განსაკუთრებით დედას აწევს. დედას, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მათ თვალში. იგი მარტო სიტყვით კი არა, ოჯახში და საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისი საქმიანობით უნდა უნერგავდეს შვილებს კეთილშობილურ გრძნობებს, აღუძრავდეს მათ პატივისცემასა და მიბაძვის სურვილს. მხოლოდ ასეთ დედას შეუძლია შთააგონოს მოზარდებს სამშობლოს სიყვარული, მეგობრისადმი ერთგულება, ვაჟკაცობა და პირდაპირობა, გულწრფელობა და სიკეთე, ნაკისრი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთი სიტყვით, შთაუნერგოს მათ ყველა ის თვისება, რასაც კომუნისტური ზნეობა მოითხოვს საბჭოთა ადამიანისაგან.

კონსტიტუციის პროექტში კიდევ ერთი მხარეა მეტად ძვირფასი, ფასდაუდებელი ყოველი მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის, განსაკუთრებით ქალისათვის, დედისათვის. მასში შეტანილია ახალი თავი, რომელიც მსოფლიოს არცერთი სხვა ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის, ეს არის „საგარეო პოლიტიკა“. მასში (28-ე მუხლი) საზეიმოდ არის გამოცხადებული, რომ „საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინური მშვიდობის პოლიტიკას, ილვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“.

ქალს, დედას შეუძლია მშვიდად იშრომოს, მშვიდად აღზარდოს შვილები. მას არ ეშინია ხვალინდელი დღისა, რადგანაც იცის, რომ არ არსებობს მოწმენდილ ცაზე ღრუბლების გაჩენის რეალური საშიშროება, რადგან მშვიდობის სადარაჯოზე დგას საერთო-სახალხო სახელმწიფო და სოციალიზმის მსოფლიო სისტემა.











დ. იაკობაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვფიქრობთ ახალი კონსტიტუციის პროექტზე

## ახალი გამარჯვებისაკენ

„საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“.

**სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტიდან**

ახალი კონსტიტუციის პროექტს იწონებს არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს მშრომელი მოსახლეობა, არამედ მთელი კაცობრიობის პროგრესული ნაწილიც, რომელიც ილვწის ქვეყნად სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის დამკვიდრებისათვის. ეს არის ჩვენი ძალა და ერთსულოვნება.

ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტი, ერთი მხრივ, იმის გამოხატულებაა, რაც უკვე მოვიპოვეთ და, მეორე მხრივ იგი გვისახავს ახალი გამარჯვების გზებს.

მე, როგორც ხელოვანი, კონსტიტუციის პროექტში არ გამოვყოფდი იმ დებულებასა და პუნქტებს, რაც უშუალოდ ჩვენი დარგის მუშაკთა შრომის წარმატების წყაროა, გარანტიაა, რადგანაც ჩემი აზრით, ყველა პუნქტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება და თანაბრად განსაზღვრავს როგორც ხელოვანის, ისე მუშისა და კოლმეურნის ნაყოფიერ შრომას, რადგანაც აქ ყველაფერი მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

**ნათელა იანქოშვილი,**
**საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.**

## ოჯახის ინტერესები მოითხოვს...

**იმ შეღავათებს შორის, რომლითაც ასე უხვად სარგებლობს საბჭოთა მოქალაქე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბინის საკითხია.**

**უცხოეთში არ ვყოფილვართ, მაგრამ წიგნებში წაგვიკითხავს, კინოსურათებში გვინაიავს და გადმოცემითაც ვიცით, რა მძიმედ აწევს ბინის ქირა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელების ბიუჯეტს, რა ტრაგედიები იქმნება ამ ნიადაგზე.**

ჩვენში ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ზეიმობს ახალმოსახლეობას — შედის ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში. ჩვენთან ბინის ქირაც მცირეა და სხვადასხვა კომუნალური მომსახურების გადასახადიც (გაზი, წყალი, განათება და სხვ).

საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტი კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს საბჭოთა მოქალაქის უფლებას ბინით სარგებლობაზე. კერძოდ, პროექტში ნათქვამია:

მუხლი 44, „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა, საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირის სიმცირე“.

კარგია, რომ კონსტიტუციაში ლაპარაკია ბინის სამართლიან განაწილებაზე, ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც ადგილებზე, ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერი მუშაკის წყალობით ირღვევა სამართლიანობა — წესი და რიგი ბინის მიღებაში, მაგრამ დაუსჯელად არ უნდა რჩებოდეს არც ერთი დარღვევა.

პასუხისმგებლობა უნდა გაძლიერდეს ბინის მშენებლობის ხარისხზეც. უხარისხოდ ნაშენები ბინის ნაკლოვანებებს განსაკუთრებით ჩვენ, ქალები განვიცდით. ჩვენ ხომ ვმუშაობთ და დრო რაციონალურად უნდა გავანაწილოთ და ამ დროს შეიძლება წონასწორობიდან გამოგვიყვანოს ერთი შეხედვით „წვრილმანმა“ — ერთმა უხეირო ონკანმაც კი.

გარდა ამისა, აქამდე ნაშენები სახლების უმეტესობის ერთ-ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არქიტექტორები არ ითვალისწინებენ ოჯახისათვის აუცილებელ ისეთ „დეტალს“, როგორიცაა სარეცხის საშრობი. ყველაფერს სამრეცხაოში ხომ ვერ წაიღებ? და არის აივნები ათასფრად აჭრელებული, რაც დიდად აუშნოებს ქალაქის ხედს.

ვფიქრობთ, არც ერთი სახლი არ უნდა იგეგმებოდეს დიასახლისის აუცილებელ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, ასევე გასათვალისწინებელია საოჯახო კაფეები, ახალმშენებლობათა ყოველ კვარტალში მაინც, სადაც ნახევარფაბრიკატების შეძენასაც მოვახერხებდით.

და საერთოდ, მრავალსართულიანი სახლების პირველი სართულები გამოყენებული უნდა იყოს მცხოვრებთა საჭიროების მიხედვით — კაფე, წითელი კუთხე, ბავშვთა ოთახი და სხვა.

დიასახლისები: ნ. ცაბაძე
ა. კახაბერი
ი. მარსაგიშვილი

## ჩვენი უფლებების დამცველი

ყველა სიკეთეს, რაც ჩვენი ქვეყნის მუშებს გაგვაჩნია, საბჭოთა კონსტიტუციას უნდა ვუმადლოდეთ. ასეთი ჰუმანური, მშრომელთა უფლებებისა და ღირსებების დამცველი სახელმწიფო კანონი არსად, არცერთ ქვეყანაში არ მეგულება.

ოცდასამი წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში ვმუშაობ. ჩემი საქმე ზედმიწევნით ვიცი. ბევრი წამახალისებელი ჯილდო მივიღე. ჩემს ხელში, ვინ იცის, ჟურნალების რამდენი ნომერი დაიბადა. გამომცემლობის სტამბაში დამკაბადონებელი ვარ.

ჩემი შრომაც დაფასდა. გამომცემლობამ რამდენიმე წლის წინათ ახალი, კეთილმოწყობილი ბინა მარგუნა. მყუდროება, კომფორტი, ლამაზი ავეჯი კარგ განწყობაზე მაყენებს. საბჭოთა კონსტიტუცია იცავს საბჭოთა მოქალაქის უფლებას ბინაზე. იგი აკანონებს, რომ ხელშეუხებელი და შეულახავია მშრომელი კაცის უფლებები.

პოლიგრაფიის მუშაკების შრომა მძიმეა. ამიტომ ჩვენი ჯანმრთელობისათვის დღენიადაგ ზრუნავენ. ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებული ხელშეუხებელი გარანტიაა. შვებულებისას მუშები საგზურებით ვისვენებთ. ვიღებთ ყოველთვიურ და კვარტალურ პრემიებს, მეცამეტე ხელფასს. გამომცემლობა გვამარაგებს პროდუქტებით, სამრეწველო ნაწარმით. ჩვენც ენერგიის დაუზოგავად და ხალისიანად ვშრომობთ.

განათლების უფლებას პოლიგრაფიის მუშაკებიც იყენებენ, სწავლას აგრძელებენ უმაღლეს სასწავლებლებში.

მადლობის მეტი რა გვეთქმის!

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტმა სიხარულის ფრთა შეგვასხა, შრომა ღირსების საქმედ გვიქცია.

**რუსუდან გურგენაშვილი,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის დამკაბადონებელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



„საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობას. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს“.

ССР კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტიდან.

# პაშა ანგელინას პრიზი

როცა მინისტრმა მისი გვარი დაასახელა, იგი აუღელვებლად წამოდგა თავისი ადგილიდან და პრეზიდიუმის მაგიდას მიუახლოვდა. დარბაზში ტაშმა იგრიალა.

— გამარჯობათ, ლუიზა! — უთხრა მინისტრმა და ხელი ჩამოართვა, — თქვენ პოეტური სახელი გქვიათ.

ტაშის ხმა არ წყდებოდა, მინისტრი კი გულთბილ სიტყვებს ეუბნებოდა ლუიზას. ამ სიტყვების გარჩევა დარბაზში შეუძლებელი იყო. მინისტრი ლაპარაკისას იღიმებოდა, ლუიზას სახე აუვარდისფერდა, მადლობისა და თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა. ადვილად მიხვდებოდით, რომ ის კეთილ სურვილებს ისმენდა.

ლუიზა თავის ადგილზე დაჯდა, ხელში ბრინჯაოსაგან დამზადებული პაშა ანგელინას პატარა ქანდაკება ეჭირა. ეს მექანიზატორ ქალთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულის პრიზი გახლდათ. ლუიზას გვერდით ისხდნენ უკრაინიდან, სტავროპოლიდან, მოლდავეთიდან, უზბეკეთიდან, ლიტვიდან ჩამოსული ქალიშვილები, რომლებიც გუშინ მისთვის უცნობნი იყვნენ, დღეს კი დამეგობრდნენ. მაგიდაზე, ყოველი მათგანის წინ ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყო შუშაში ჩასმული ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები — გამარჯვებულთა პრიზები.

...საღამოს მე უკვე მასთან ვიყავი სასტუმროს ნომერში. ჩვენ ვსაუბრობდით.

— რა გითხრათ მინისტრმა პრიზის გადმოცემისას? — შევეკითხე.

— მითხრა, თქვენი მოკრეფილი ჩაი მთელ ქალაქს ეყოფაო.

— რამდენი მოკრიფეთ სეზონში?

— სამოც ტონაზე მეტი.

— გეგმა რამდენი გქონდათ?

— ორმოცი ტონა.

— თქვენს კოლმეურნეობაში არიან სხვა მექანიზატორი ქალები?

— არა.

— რაიონში?

— არც რაიონში.

— მაშ, მთელ ზუგდიდის რაიონში თქვენ ყოფილხართ მექანიზატორი პირველი ქალი. მამის კვალს გაჰყევით? რაიონში ხომ ისიც პირველი დაჯდა ტრაქტორზე!

ლუიზამ თავი დაიქნია. მერე უცბათ მოიწყინა, თვალები აუწყლიანდა. ჩუმად წამოდგა სავარძლიდან და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის იქით ელექტროშუქით განათებული მოსკოვი ჩანდა. ის იყურებოდა ფანჯარაში და მხრები უცახცახებდა.

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც მამა დაასაფლავა. ამის შემდეგ მოვიდა მექანიზატორ ქალთა შეჯიბრებაში ლუიზას გამარჯვების ამბავი. მერე გამოიძახეს მოსკოვში მინისტრთან. ივანე წყაროზიამ ვერ გაიხარა ქალიშვილის წარმატებით...

სოფელში ყველას უყვარდა ივანე. შამგონაში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომლისთვისაც ივანეს კეთილი სიტყვა არ ეთქვას. მას ამოძრავებდა ადამიანის სიყვარული, მისთვის ზრუნვა და დახმარება. ის კომუნისტი იყო, პარტორგი.

შვილები ყველაფერში მამას ბაძავდნენ. ამიტომაც სოფელ შამგონაში წყაროზიების მთელ ოჯახს აქებდნენ. ოჯახის წევრებისაგან ბრიგადის ჩამოყალიბება შეიძლებოდა: ხუთი ვაჟიშვილი, ოთხი ქალიშვილი, დედა და მამა.

სოფლის ძველ მკვიდრთ ახსოვთ პირველი ტრაქტორის გამოჩენა. ეს 1931 წელს იყო, როცა კოლმეურნეობა ის-ის იყო ისახებოდა და კოლმეურნეები თითებზე ჩამოითვლებოდნენ. ხმაურით შემოიჭრა მინდორში ტრაქტორი, მასზე კი ამაყად იჯდა ივანე წყაროზია. ის პირველი ტრაქტორისტია რაიონში და ზუგდიდელები მისგან იწყებენ ტრაქტორისტების და მექანიზატორების თვლას.

დღეს სოფელ შამგონას კიროვის სახელობის კოლმეურნეობა 453 ოჯახს აერთიანებს. მათ ორმოცდაათამდე ტრაქტორი აქვთ. კოლმეურნეობის მინდვრებშია ოცდაათი ტრაქტორი, ცამეტი სატვირთო მანქანა, ორი თვითმცლელი, ტექდახმარების მანქანები, ავტობუსი, რომელსაც კოლმეურნეები მინდვრებსა და პლანტაციებში გადაჰყავს და კიდევ ხუთი ჩაის საკრეფი მანქანა.

სოფელი სულ შეიცვალა. მწვანეში ჩაფლულა კოლმეურნეთა კეთილმოწყობილი სახლები. საშუალო და რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, ორსართულიანი კლუბის შენობა, მდიდარი ბიბლიოთეკა, საკუთარი ავტომანქანები — ყველაფერი ეს სოფლის დღევანდელ ცხოვრებაზე მეტყველებს.

— მობრძანდით ჩვენთან ორი წლის შემდეგ და, აი მაშინ ნახეთ! — გვეპატიჟება კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა წოწერია.

ის კოლმეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას გვაცნობს. მდიდარი პერსპექტივები აქვთ კიროველებს.

კოლმეურნეობაში ნახავთ ვაზს, კაკალს, სიმინდს, დაფნას; საუკეთესოდაა მოვლილი მეღორეობის ფერმა — მაგრამ კიროველების სიამაყე მაინც ჩაია. ჩაის პლანტაციები 120 ჰექტარზეა გადაჭიმული, სათუთი და ჭირვეულია ეს კულტურა, ჯერ მზე ამოსულიც არ არის, ჯერ ისევ ბრწყინავს ვერცხლისფერი ნამი მწვანე ფოთლებზე, რომ კალათიანი და ფართო ქუდიანი ქალები ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიან. თითები საოცრად სწრაფად კრეფენ ახალშემოსულ ფოთოლს. დილიდან დაღამებამდე წელგაუმართავი დგანან ბუჩქებთან ქალები და ავსებენ კალათებს. წინათ ყველაზე მარჯვე მეჩაიე ხუთ-ექვს კალათას ავსებდა ხოლმე. ეს კი რეკორდად ითვლებოდა.

როცა კოლმეურნეობაში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ გამოჩნდა, რომ მეჩაიეთათვის შრომა შეემსუბუქებინა და შრომის ნაყოფიერება გაეზარდა. მაშინ კოლმეურნეებმა დღესასწაულის მოახლოება იგრძნეს.

მაგრამ ეს დღესასწაული იგვიანებდა: არავის შეეძლო მანქანაზე მუშაობა. მაშინ კოლმეურნეობის გამგეობაში ივანე წყაროზიას უმცროსი ქალიშვილი ლუიზა მოვიდა და თავმჯდომარის მაგიდაზე განცხადება დატოვა: „გთხოვთ დამრთოთ ნება ვიმუშაო „საქართველოზე“, ვიძლევი პარტიულ სიტყვას, გავამართლებ ნდობას“.

— ერთი შეგეხედათ გამგეობის წევრებისათვის! — იცინის ლუიზა.

— როგორ, ქალს ჩავაბაროთ მანქანა? — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ რისკზე ვერ წავალთ!

კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ჯონდო გუგუჩიამ გადაიკითხა განცხადება, ხელში შეატრიალა და თქვა:

— ეს რა ხდება? კოლმეურნეობაში ამდენი კაცია და მანქანაზე მუშაობას ქალი ითხოვს? მე მგონი, დავულოცოთ გზა!

დილით ლუიზამ აამუშავა „საქართველო“ და პლანტაციაში გავიდა. მოთუხთუხე მანქანა ნელა მიუყვებოდა ჩაის მწკრივებს და კრეფდა ფოთოლს. საჭესთან ისე იჯდა ლუიზა, როგორც კვარცხლბეკზე.

* * *

ივანეს შვილები პატარაობიდანვე გაეცნენ ტექნიკას. უფროსი ვაჟი ლერი გაკვეთილების შემდეგ შინ მიირბენდა, ჩანთას მიაგდებდა, უცბათ გადაყლაპავდა მჭადს და გარბოდა მამასთან. ტრაქტორი, რომელზეც ივანე მუშაობდა, ძველი იყო, მაგრამ მას ტრაქტორისტი კარგად უვლიდა. ოჯახს ცხოვრება უჭირდა. ერთი მარჩენალი ყველაფერს ვერ სწვდებოდა, და ლერი მისი ერთგული თანაშემწე გახდა — თორმეტი წლისა იყო, როცა ტრაქტორის მართვა ისწავლა. რვა წელიწადი მამას ეხმარებოდა და თანაც მამასთან ერთად ძმებს მანქანის მართვას ასწავლიდა.

1960 წელს ლერი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ის რომ სოფელში დაბრუნდა — იბრაგიმი, გოდერძი, ელდარი და ფრიდონი უკვე ცნობილი ტრაქტორისტები იყვნენ. მაშინ მან მანქანის მართვა თავის უმცროს დას ლუიზას შეასწავლა.

ლუიზა როგორც მისი დები, მეჩაიე იყო. შრომისმოყვარეობით და მონდომებით მან უკან ჩამოიტოვა მეგობრები. მისი კალათა უფრო ჩქარა ივსებოდა ლორთქო ფოთლით. ეს მძიმე შრომა იყო. მაშინ ჩაის მხოლოდ ხელით კრეფდნენ და კონსტრუქტორები ჩაის საკრეფი მანქანის შექმნაზე ფიქრობდნენ. ლუიზაც ოცნებობდა ასეთ მანქანაზე და ოცნება აუხდენელ ზღაპრად ეჩვენებოდა.

გავიდა წლები, მეცნიერებმა შექმნეს ჩაის-საკრეფი მანქანა (თუმცა მთლად სრულყოფილი არა), იგი კოლმეურნეობაშიც გამოჩნდა. მაგრამ ვერავინ ჯდებოდა მასზე. ლუიზამ გადაწყვიტა დამჯდარიყო „საქართველოს“ — საჭესთან. ლერიმ ხომ შეასწავლა ტრაქტორის მართვა! მერე ძმებთან ერთად ხშირად გადიოდა „ბელარუსით“ მინდორში. „საქართველოზე“ მუშაობა განსაკუთრებულ უნარს მოითხოვდა. ამიტომ ლუიზა მექანიზატორის ოსტატობას ეუფლებოდა.

თავისი გადაწყვეტილება ქალიშვილმა მამას და ძმებს გაანდო. მათ მოუწონეს გულისნადები. მაშინ ლუიზამ განცხადება შეიტანა გამგეობაში.

* * *

პირველ დღეს „საქართველო“ აწყობილად ვერ მუშაობდა, ვერ კრეფდა ყველა ფოთოლს, და მის ნაკლს ოთხი მკრეფავი ასწორებდა, რომლებიც უკან მიჰყვებოდნენ. და მაინც „საქართველომ“ ერთ დღეში იმდენი ფოთოლი მოკრიფა, რასაც ასი მკრეფავი ერთად მოკრეფდა.

საღამოზე ლუიზამ და მისმა მეგობრებმა უკანასკნელად გადმოაპირქვავეს ორასკილოგრამიანი ყუთები, დაახარისხეს ფოთოლი და დაიწყეს მანქანის მომზადება მეორე დღისთვის.

დილით ლერი წყაროზიამ მეგობრები პლანტაციაში მოიყვანა. ლუიზამ მოტორი ჩართო. მანქანა ჩაის ბუჩქებში შეიჭრა. თუმცა მთელ დღეს შეუჩერებლად მუშაობდნენ, უფრო ცოტა ჩაი მოკრიფეს, ვიდრე წინადღეს. მესამე დღეს საქმე კარგად აეწყო და შემდეგ ყველაფერი რიგზე წავიდა.

ლუიზას გეგმა მისცეს: 8 ჰექტარზე სეზონის განმავლობაში 24 ტონა მწვანე ფოთოლი უნდა მოეკრიფა.

მან პირობა დადო, გეგმას გადავამეტებო.

გაამართლა კიდეც. პირველ წელს ლუიზას „საქართველომ“ 34 ტონა ფოთოლი მოკრიფა.

მეორე წელს სოცშეჯიბრების ტალღამ ახალი ციფრები წამოაყენა. ლუიზას გეგმა 42 ტონამდე გაიზარდა. მან კი 51 ტონა მოკრიფა. მექანიზატორი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ოთხი წლის მანძილზე ლუიზა ზედიზედ აჭარბებდა გეგმებს.

ლუიზა ხედავდა, როგორ იზრდებოდა რესპუბლიკაში კომუნისტთა ენთუზიაზმი. მოწინავე ადამიანები არასოდეს კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით, ახალ და ახალ მიჯნებს იპყრობდნენ. ლუიზა დარწმუნდა, რომ მეტის გაკეთება შეეძლო. ეს მან პარტიულ კრებაზე განაცხადა.

ლუიზას 49 ტონამდე გაუდიდეს გეგმა. იმ წელიწადს 70 ტონამდე მოკრიფა, მის მკერდზე ახლა შრომის წითელი დროშის ორდენი აკიაფდა.

ლუიზას ნაკვეთი გაუდიდეს, 16 ჰექტარი პლანტაცია მისცეს და მეორე მანქანა „საქართველო“ მიამაგრეს. მანქანის საჭესთან მისი ძმა იბრაგიმი დაჯდა და ოთხი დამხმარე მიაშველეს. წლეულს წყაროზიების ოჯახიდან გამოსულმა ორმა მექანიზატორმა 104 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს — ასეთია ვარაუდი. ლუიზა კი ფიქრობს 150 ტონას არცერთი კილოგრამი არ დააკლდება.

ერთი აზრი არ ასვენებს ლუიზას: მხოლოდ ტონების და კილოგრამების გამოდევნება არ კმარა. მეჩაიეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე სოციალისტური შრომის გმირმა, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიემ დარეჯან ტაკიძემ განაცხადა: საჭიროა ხარისხის ნიშნით აღინიშნოს პლანტაციებში ნაკვეთებიო. სწორი გადაწყვეტილებაა; კარგი წინადადებაა. ლუიზა წყაროზია კრეფს ფოთოლს და ნედლეულის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ეს საუკეთესო მაჩვენებელია. მაგრამ პროცენტი უნდა გადიდდეს. ამისათვის აგროტექნიკური მოთხოვნების მკაცრი შესრულება, კრეფის წესების დაცვა, ბუჩქებისა და ნიადაგის უკეთესი მოვლაა საჭირო. მანქანას ყველაფერი უნდა გამოსწუროს, რის მოცემაც კი შეუძლია. მაგრამ როგორ უნდა გამოსწუროს, თუ იგი სრულყოფილი არ არის? მიმართოს მეცნიერებს და მოსთხოვოს, ჩქარა გახადონ იგი სრულყოფილი? განა ეს საქმეა — ჩაის კრეფის მექანიზაციის მაჩვენებელი რესპუბლიკაში 15 პროცენტია. განა ეს საქმეა — რომ ბევრი მეურნეობა უარს ამბობს მანქანის გამოყენებაზე, ვინაიდან მას კონსტრუქციული ნაკლოვანებები აქვს?

ამას ფიქრობდა ლუიზა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, სადაც კოლმეურნეებმა დელეგატად გაგზავნეს. ის მარტო საკუთარი თავისათვის, მარტო კოლმეურნეობისათვის როდი ილვწოდა, არამედ მსჯელობდა როგორც სახელმწიფო მოღვაწე. ლუიზა სინანულს გამოთქვამდა, რომ რაიონის ქალთაგან მხოლოდ ისაა მექანიზატორი, და საჭიროდ თვლიდა მოეწოდებინა: „ქალიშვილებო, მანქანაზე!“ ისევე, როგორც ორმოცი წლის წინათ მოუწოდა მათ პაშა ანგელინამ. მოწოდების განსამტკიცებლად ლუიზამ იქვე განაცხადა, მანქანის მართვას შევასწავლი მერი ქვარცხავას და ჩემს რძალ ლამარა წყაროზიასო. მაშინ წყაროზიების ოჯახში მექანიზატორთა რიცხვი ერთით გაიზრდება.

* * *

პაშა ანგელინას ბრინჯაოს ქანდაკება — სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულ მექანიზატორ ქალთა პრიზი ლუიზას საწერ მაგიდაზე დევს.

— იცით, ეს პრიზი ჩემთვის ყველა საჩუქარზე ძვირფასია — ამბობს ლუიზა, — აბა, წაიკითხეთ!

და მე წავიკითხე პაშას სიტყვები, რომლებიც ქანდაკებაზეა ამოტვიფრული ლუიზას გვარის გვერდით:

„ჩვენი თაობა არასოდეს არ შოულობდა პურს ადვილად, არ ეძებდა იოლ გზებს. ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მშვენიერი ჩვენს ცხოვრებაში — ეს არის სამშობლოსათვის თავდადებული შრომა“.

როცა პაშამ ეს სიტყვები კომკავშირის X ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქვა, როცა გაისმა მისი მჭექარე ხმა: „ქალებო, ტრაქტორზე“! მაშინ ლუიზა წყაროზია დაბადებულიც არ იყო. მაგრამ პაშას მოწოდების გამოძახილი ახალგაზრდა კოლმეურნეთა ახალმა თაობებმა აიტაცეს. და ლუიზას ჰგონია: თუმც ორმოცი წელი აშორებს მათ ერთმანეთისაგან, მისი უჩინარი მეგობარი აქვეა, გვერდით.

*მოსკოვი.*

**გ. პანკოვი**

კარლო ტაბატაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ია-ია და ანა ბებია

მოთხრობა

მხატვარი ე. ამბოკაძე

ადრიანი გაზაფხულის მზიანი დილაა, თბილა. თბილისელები ქუჩაში გამოფენილან, მხიარულად ულიმით სახეები. ჭავჭავაძის პროსპექტზე „ვოლგა“ მიისწრაფის, შოფრის გვერდით ზურაბი ზის, გაფაციცებით იხედება სარკმლიდან. უნივერსიტეტისაკენ მიმავალ ქალიშვილებს მოჰკრა თვალი, თანაჯგუფელები იყვნენ.

— გააჩერე!

„ვოლგა“ მკვეთრად უხვევს ტროტუარისაკენ და ჩერდება. ზურაბი მომღიმარი გადმოდის, ხელში იების დიდი თაიგული უჭირავს.

— ზურაბ, ზურაბ! — უხარიათ ქალიშვილებს, — ეს რა არის? რა სიგიჟეა, სად იყო ამდენი ია-ია?

— დეპეშები ხომ მიიღე? ზურაბ, ვერ ჩამოვედით, არ გამოგვიშვეს, ხომ არ გეწყინა!

პეპლებივით ასხდებიან ქალიშვილთა ბაგეები ზურაბის შეფაკლულ ლაწვებს.

— გმადლობთ დეპეშებისათვის! — ზურაბი ია-იების პატარ-პატარა თაიგულებს ურიგებს ქალიშვილებს, — ეს ბებია ანამ გამოგიგზავნათ.

სიხარულნარევი გაოცება იპყრობს ქალიშვილებს, ზურაბს თვალს არიდებენ.

— ბებია ანამ! — იღიმება ზურაბი.

* * *

მოსკოვი, დუბნო, ატომური ცენტრი.

გაზონებზე შეზვინული თოვლი ჯერ ისევ მშვიდად თვლემს.

ადრიანი გაზაფხულია.

ლაბორატორიებში გამოცოცხლებაა. ცისფერთვალა ქალები და ქალიშვილები სიხარულს ვერ ფარავენ, უკვე მერამდენედ ყნოსავენ იებს.

ამ დილით საქართველოდან ზურაბ შალვას ძე ჩამოფრინდა.

— ეს იები ბებია ანამ გამოგიგზავნათო.

მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელისაგან უკვირთ თეთრხალათიანებს ეს სინაზე.

რეაქტორში ურანი იშლება.

გაზაფხულის პირველი ყვავილები ატომურ ცენტრში.

— ბებია ანამ!! — იღიმებიან ფიზიკოსები.

* * *

ბებია ანა.

სვირში რკინიგზის სადგურის უკან, ფარღალალა სახლში ცხოვრობდნენ, რვა შვილი ჰყავდათ.

ბაბუა ონისიმე რკინიგზის ოსტატი იყო. ცხოვრობდნენ უპრეტენზიოდ და ლუკმა-პურს იყოფდნენ.

— ეე, კაცო, სახლი ავაშენოთ!

— მაცა, მაცა! — ონისიმე ჩაიში კოვზს ურევდა ხოლმე. გიზგიზებდა ბუხარი.

— ბავშვები არ გეცოდებიან, ამ სიშორეს დადიან სკოლაში.

— მაცა, მაცა! — პატარა უჩა მამას მკლავზე ჩამოეკიდებოდა.

ერთმანეთს წაეკიდებოდნენ ხოლმე თინა და ნინო, შემდეგ ღრიალებდნენ.

აბუზღუნდებოდა მარიამი, მეცადინეობა დამაცალეთო.

— ვაე, თქვენ არ დამიწყდით! — ალაპყრობდა ანა ხელებს.

უჩას თამაში უნდოდა, მამის მკლავზე მიცოცავდა.

— მაცა, მაცა! — ონისიმე ბავშვს იშორებდა და გაბრაზებული კვლავ ჩაიში კოვზს ურევდა.

— დაგვიწყდებიან ბავშვები ციებით, ზესტაფონში გადავსახლდეთ! — მერამდენედ ამბობდა ანა.

ერთხელაც, მოთმინებადაკარგულმა ონისიმემ, ჩაის ჭიქა ლამბაქიან კოვზიანად აიღო და მოგიზგიზე ბუხარში შეაგდო.

ბუჰ, — დაიძახა ცეცხლმა და ნაცარნარევი ორთქლი ავარდა.

— შინ არ დაგაყენებენ! — აბუზღუნდა ონისიმე, პალტო ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი, ხის ძირას შალვა ჩამომჯდარიყო, ზურგით მერქანს მიყრდნობოდა და თვალი ზეცისათვის მიეპყრო. ონისიმე შვილს გაოცებული შესცქეროდა, მერე ხელი ჩაიქნია და სადგურისაკენ წავიდა.

ციოდა, ბაქანზე არავინ იყო, მყუდროება სუფევდა ირგვლივ.

— საღამო მშვიდობისა! — შეეხმიანა მორიგე.

—საღამო მშვიდობისა — გაუღიმა ონისიმემ და წვერულვაშზე გადაისვა ხელი.

მოსაცდელ დარბაზში რამდენიმე გლეხი მიწოლილიყო კუთხეში და მშვიდად ფშვინავდნენ. მერხზე ქალი ჩამომჯდარიყო, თავი ჩაერგო პალტოს საყელოში და თვლემდა.

რა მშვენიერებაა, ონისიმემ ქალი შეათვალიერა, ანგელოზია, ნამდვილად ანგელოზია! ალბათ, მატარებელს ელოდება. აქ ხომ გაიყინება, მაინც რა საშინლად ცივა დღეს!

ქალთან ქალაქურად ჩაცმული ვაჟი მოვიდა. კამათობენ.

ეს ალბათ ქმარია. ონისიმე ქალ-ვაჟს მიუახლოვდა, ჩაახველა და ტკბილი ხმით ჰკითხა.

— ალბათ ქუთაისში მიბრძანდებით?

— არა ბატონო, თბილისში! — უპასუხა ვაჟმა უკმეხად.

ქალმა მდუმარედ მიაპყრო თვალი სანდომიანი სახის წვეროსან კაცს.

— უუ! — შეიცხადა ონისიმემ, — თბილისის მატარებელი ხომ გამთენიას ამეივლის?!

— ასეა ბატონო! — შეათვალიერა ვაჟმა ონისიმე.

— ჩემთან წამობრძანდით ბატონო, მე გაგათევინებთ ღამეს! — ონისიმემ ხელები გაშალა, სახე ღიმილმა გაუბადრა.

ქალ-ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს.

— წამობრძანდით, წამობრძანდით! — ონისიმემ ჩემოდნებს დაავლო ხელი, აიტაცა.

მგზავრები ძალაუნებურად აედევნენ.

ანა ბავშვებს ხელ-პირს ბანდა და თან ქაქანებდა, ბედს ემდუროდა, ღმერთს ედავებოდა.

— სტუმრები მოვიყვანე, სტუმრები! — ზღურბლზე დაიძახა ონისიმემ.

ანა ჯერ გახევებული შეაცქერდა უცხო ხალხს, მერე კი:

— უი, მობრძანდით თქვენი ჭირიმე, რავა არეულ ბინაში მომისწარით: — დაფაცურდა, სკამები გამოაჩოჩა.

ონისიმემ პალტოები ჩამოართვა სტუმრებს.

ანას რაც ჰქონდა ყველაფერი გამოალაგა, სუფრა გააწყო. სტუმრები ბავშვებს გაეთამაშნენ, პატარები გათამამდნენ და ახორხოცდნენ.

დასხდნენ. ზოგი რამ ჩასაცუცნი, სოფლიდან წამოღებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებმა ამოალაგეს. ონისიმემ კვარტით ღვინო მოარბენინა. ანამ ხაჭაპურები დააცხო, ტაფამწვარი მოამზადა.

დიდხანს საუბრობდნენ, მერე ონისიმემ გვერდით მოისვა ცოლი, ბავშვები შემოიჯარა და.. ის ერთი საღამოც ტკბილად გაატარეს. დილით ონისიმემ სტუმრები გააცილა, მერე სამუშაო შარვალ-ხალათი გადაიცვა, გრძელტარიანი ჩაქუჩი აიღო და რკინიგზას გაუყვა. მიალაჯებდა შპალებზე და კაკ-კუკ, კაკ-კუკ! ისმოდა ლითონზე ჩაქუჩის მოხვედრისას.

ბავშვები ზესტაფონში დადიოდნენ სასწავლებლად. დილის მატარებელს მიყვებოდნენ და ნაშუადღევს, „კაზანცევი" რომ ჩაივლიდა, იმით უკან ბრუნდებოდნენ. ანა ოჯახს უვლიდა, ასე გადიოდა დრო. მერე, მათ ოჯახს ციება დაერია, სამი ბავშვი მოთქმითა და გოდებით მიაბარეს მიწას. უჩა და თინა ძლივს გამოგლიჯეს უწმინდურს ხელიდან, დადნენ და გაილიენ ბავშვები.

დამწუხრებულები ზესტაფონში გადმობარგდნენ და ანას დედულეთში მიწის პატარა ნაკვეთზე დასახლდნენ. ყვირილას გადმოჰყურებდა მათი შპალებით ნაგები სახლი.

ბავშვები წამოიზარდნენ.

უფროსმა, შალვამ გუდა-ნაბადი აიკრა და თბილისში წავიდა სასწავლებლად. ალექსანდრე რევოლუციის ფეხის ხმას აჰყვა, მარიამმა ქალთა გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები, თინა და უჩა ჯერ ისევ პატარები იყვნენ.

ანა და ონისიმე წელებზე ფეხს იდგამდნენ:

შვილებს არ მოშივდეს.

შვილებს არ შეცივდეს.

შვილებს რაიმე არ დააკლდეს.

— იმ ბიჭიდან არაფერი ისმის, — წუწუნებდა ანა.

— რა უჭირს შე ქალო, ბიჭს! — იქექავდა წვერს ონისიმე, თუმცა მასაც აწუხებდა, რატომ არაფერი ისმის უფროსი ბიჭიდანო.

— ალექსანდრეს რაღაც დაუწერია გაზეთში, მთელი ზესტაფონი ამას ლაპარაკობს! — ჯავრობდა ანა. — არაფერი მოაწიონ ბიჭს?!

— ჩვენი მუშების მოსარჩლეა, — კმაყოფილი იყო ონისიმე, — ვის რა ხელი აქვს ბიჭთან!

— ის გოგო გლახად არავის გადაეყაროს ქუთაისში.—წუხდა ანა.

— გადაეყაროს თუ გადაეყრება! არ გამიგონია ქალის სწავლა, მე, უნდა გამეთხოვებია.

— აბა, აბა?! — თავს აქნევდა ანა, — ამ გოგოს რა ვუყოთ, გული აიყარა სწავლაზე.

— გავათხოვებ და ის იქნება!

— უჩა ისევ ავადმყოფობს, — დარდობდა ანა, — ქალაქში უნდა წავიყვანოთ, ექიმთან.

— მამა ენაცვალოს, გული დამელია მაგაზე ფიქრით.

ერთ საღამოს დაიძახეს: წითლები მოდიან, თავს უშველეთო. ქალებს აუპატიურებენ, ვაჟები თან მიჰყავთო, ოჯახს წაბილწავენ, ყველაფერს წაგართმევენო. მოდიან რქიანები, კუდიანებიო...

გაოცდა ონისიმე.

აქაქანდა ანა.

ალექსანდრე არსად ჩანდა.

მარიამი ქუთაისიდან ჩამოსულიყო. მისი მოხდენილი ტანი სიყვარულს და სურვილს აფრქვევდა. ალქაჯი თინა შავ დიდრონ თვალებს აბრიალებდა და ცნობისმოყვარეობით იტანჯებოდა. უჩას ჯერ კიდევ არ ესმოდა რა ხდებოდა და მამას კუდში დასდევდა.

სანოვაგე გადამალეს, ქათმები და ბატები დაამწყვდიეს, მარიამი სოფელში გადახიზნეს.

დაწვნენ, მაგრამ მოლოდინში თვალი არ მოუხუჭავთ — ელოდებოდნენ რქიანებს, კუდიანებს და ავსულებს.

ნაშუაღამევს ცხენების ფლოქვების ხმა გაისმა, ონისიმემ ნიფხავ-პერანგის ამარა მიირბინა სარკმელთან. ანა ლოგინზე წამოჯდა, ხელები ალაპყრო და აბუტბუტდა, ღმერთო შენ გვიშველეო. თინა საბანში ჩაძვრა, მარტო მოგიზგიზე თვალები ელავდნენ სიბნელეში.

კარზე მოურიდებლად დააბრახუნეს.

გაიყინა გულები.

— გააღეთ, თუ ვინმე ხართ, შინ! — მუშტი დასცხო კარს ვიღაცამ.

ონისიმემ აკანკალებული ხელებით გადასწია ურდული და ოთახში ურქო, უკუდო წითლები შემოვიდნენ.

ანამ ლამპა აანთო.

თინა ყურებდაცქვეტილი ჩაიმალა საბანში.

— ოო, — ახორხოცდა კომისარი და ონისიმეს მხარზე ხელი დაჰკრა, — პირველი კაცი ხარ, ამოდენა გზა გამოვიარეთ, კარის გაღებისა ყველას ეშინია, ასე იციან აქეთ მოყვასის შეხვედრა?!

— მოყვასის? — შეიჭმუხნა შუბლი ონისიმემ.

კომისარმა შინაურულად გაიარ-გამოიარა ოთახში. მერე სკამზე ჩამოჯდა, ძალიან დავიღალეთო.

ახალგაზრდა კაცი იყო, მზემოკიდებული.

— თუ არ გაგვყრით გარეთ, თქვენთან დავისადგურებთ.

— ანა, ქალო! — შეჰყვირა ონისიმემ, — რავა გახევებულხარ, სტუმრებს მიხედე, მე ღვინოს ამოვიღებ!

ახმიანდა შპალებით ნაგები სახლი. თინა ამოძვრა ლოგინიდან, უჩამაც გაიღვიძა. ეზოში ჯარისკაცებმა კოცონი დაანთეს. ონისიმემ ბატები და ქათმები დაკლა, ღვინო ამოიღო ჭურიდან. ანამ მჭადები და ხაჭაპურები დააცხო.

გაიშალა სუფრა, მოილხინეს. რუსმა და ქართველმა ხელები გადახვიეს ერთმანეთს.

დილით ალექსანდრე მოვიდა, წითლების შარვალ-ხალათი ეცვა და მაუზერი ეკიდა. გულმა გული იცნო. სულ გადაირია ჭერი.

მესამე დღეს აიშალნენ ჯარისკაცები. ის იყო, კომისარი გამოეთხოვა ონისიმეს და ცხენს ზურგზე უნდა მოვლებოდა, რომ ალაგეზე მარიამმა გადმოაბიჯა და ეზო გაანათა. გაოცდა კომისარი, გახევდნენ ჯარისკაცები, გაირინდნენ ცხენები, ულვაში შეუთამაშდა ონისიმეს.

— მარიამმა მაცდურად გაუღიმა კომისარს.

— ჩემი ქალიშვილია. — გამოუტყდა ონისიმე.

— შენი! — დაიბნა კომისარი, ალვირის ბოლო ონისიმეს გაუწოდა; — ამ ცხენს გიტოვებ საწინდრად...

— არა, დავით, ცხენი შენ გჭირდება, — დაუბრუნა ალვირი ონისიმემ, წადი, რომ ამოივლი ქორწილზე მერე ვილაპარაკოთ.

გულამღვრეულმა კომისარმა ერთხელ კიდევ გადაკოცნა ონისიმე, მერე ცხენს მოახტა და გაუტია.

კომისარმა ველარ ამოიარა.

ცხოვრება კი შეიცვალა, წამოიზარდა ფეროს საკვამლე მილები, წამოიზარდნენ ბავშვები.

უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა შალვამ, ელექტროგადამცემი ხაზი გაჭიმა რიონიდან თბილისამდე და ხაშურის საელმავლო დეპოში დაიწყო მუშაობა, დაოჯახდა.

მარიამი ხშირ-ხშირად ჩადიოდა ძმასთან სტუმრად, იქ სკოლის დირექტორს გადაეყარა, ერთგულება შეფიცეს ერთმანეთს და დაქორწინდნენ.

ანამ და ონისიმემ შვებით ამოისუნთქეს, რაკი უფროსი ქალიშვილი პატრონს ჩააბარეს.

თინა წამოჩიტდა, ეშხიან თვალებს ეშმაკურად აცეცებდა, გიტარაზე მოხდენილად უკრავდა და ზესტაფონურად ამღერებდა.

ონისიმეს ოჯახს ერთი ობოლი ბიჭი შემოეჩვია, კომკავშირელი კოწია. ზესტაფონში სწავლობდა, ხშირად მოდიოდა, ბუხართან ჯდებოდა და ნაღვლიან თვალს მკვირცხლ თინას არ აშორებდა.

შალვას პირველი ბიჭი შეეძინა, გივი დაარქვეს, გაიხარეს ანამ და ონისიმემ, ბავშვი ხელიდან-ხელში გადადიოდა.

ოჯახი წელში გაიმართა, ვამხიარულდა. ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მხოლოდ ეს იყო, ალექსანდრე დაოჯახებაზე არ ფიქრობდა, ერთთავად რაიონის გაზეთს იყო გადაყოლილი.

მერე იყო და, ის ობოლი ბიჭიც გადაიკარგა — სამხედრო სასწავლებელში წავიდა. თინას თვალში ნაღველი ჩაუდგა, დღედაღამ წერილს ელოდებოდა. ბოლოს ნანატრი წერილიც მოვიდა. თინას და სასიმამროს თბილისში იბარებდა თავხედი კოწია.

თინამ ფრთები შეისხა. ონისიმემ ულვაშები გადაივარცხნა, ხურჯინი მხარზე გადაიკიდა და ქალაქს მიაშურა. თინას გული გაფრენაზე ჰქონდა, ხელში მაგრად ჩაებღაუჭა გიტარა, ერთადერთი მზითვი და მამას შველივით მისდევდა.

ქრომის პრიალა ჩექმებში გამოწკეპილი კოწია სადგურზე შეხვდა მამა-შვილს, მხედრულად გამოეჭიმა ონისიმეს და თინა წაართვა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა.

უჩა ფეროში დანიშნეს სკოლის დირექტორად. შალვა სამი შვილის მამა გახდა, მარიამი ორისა, თინასაც ეყოლა ბიჭი, კოწიას ალიკვალი.

ფრთები შეესხათ მოხუცებს, შრომობდნენ და ცოტ-ცოტას ყველას უნაწილებდნენ. ზაფხულობით ეზო ბავშვების ჟივილ-ხივილით ივსებოდა.

ალექსანდრემ აგური მოზიდა, ახალ სახლს ავაშენებ და ცოლსაც ვითხოვო.

შალვამ რაღაც გამოიგონა და იტალიური ელმავალი გააუმჯობესა.

— უჩა დაოჯახებაზე არ ფიქრობს, — წუხდნენ მოხუცები, — ამ ბოლო დროს რაღაც გულჩათხრობილი დადის.

— რა იყო, შვილო რა მოხდა? — უკვირს ონისიმეს.

— მტრები გამიჩნდნენ, — გამოუტყდა უჩა საყვარელ მამას, — ავ ხმებს მივრცელებენ, ანონიმური წერილებით აავსეს ზემდგომი ორგანოები, უნდა გავეცალო, სამხედრო სასწავლებელში წავალო, თქვა და შეასრულა კიდეც — ხარკოვში წავიდა საარტილერიო სკოლაში.

დაცარიელდა სახლი.

შეჰყურებდნენ ერთმანეთს ანა და ონისიმე, ოხრავდნენ და თვალცრემლიანები უჩას წერილებს კითხულობდნენ, შვილი ამხნევებდა მშობლებს, მალე დავბრუნდებიო. დრო კი ნელა გადიოდა.

ალექსანდრე ყოველ ღამე იგვიანებდა, მგონი ვიღაცასთან დაძვრებოდა, სახლის მშენებლობაზე გული აიყარა.

გიზგიზებდა ბუხარი, ონისიმე გაზეთებს ჩაჰკირკიტებდა. ანა დაფუსფუსებდა, ძროხას უვლიდა, ალაგებდა, ასუფთავებდა.

— რა ნახე, კაცო, გაზეთებში, შეშა დაჭერი!

— შავი ურჩხული, — ონისიმე გაზეთს თვალს არ აშორებდა, — შავი ურჩხული დაიძრა ჩვენსკენ, ევროპის ქვეყნები ჩაყლაპა...

— ვაე, — ხელებს შლიდა ანა, — ნეტა ისე იქნებოდეს, მართლა ჩაგყლაპავდეს მაგ ურჩხული, არ გეცოდება ადამიანი!

გაზაფხულდა, მოფრინდნენ პირველი მერცხლები. თინამ პატარა ზურაბი ჩამოიყვანა ქალაქიდან, ბაიას ფერი, ძვალი და ტყავი.

მოხუცებს საქმე გაუჩნდათ.

უფრო საინტერესო გახდა გაზეთის ფურცლები, პოლონეთიც ჩაყლაპა შავმა ურჩხულმა.

ალექსანდრე ათასში ერთხელ შემოივლიდა ხოლმე შინ, საქმეები წინ მიდისო, ჩვენი ქვეყანა ყველაზე ძლიერია მსოფლიოში, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული, ერთ ძმურ ოჯახად შეკრული. ჰიტლერი ომს ვერ გაბედავსო!

— აგაშენა ღმერთმა! — ეეჭვებოდა ონისიმეს და შვილს ეკამათებოდა.

— კაცო, დააყენე ეს ბავშვი შინ, — ბრაზობდა ანა, — შენ და შენმა ჰიტლერმა არ ამომხადეთ სული!!

უჩამ დარეკა ხარკოვიდან. გაიხარეს მოხუცმა მშობლებმა, ჯერ ანა ელაპარაკა თვალცრემლიანი, მერე ონისიმე, მერე ანა, მერე ისევ ონისიმე, შვილმა სამ დღეში წამოვალო, სამხედრო სასწავლებელი დავამთავრე და ერთი თვე თქვენთან ვიქნებიო.

სამ დღეში ომი დაიწყო, ურჩხულმა ჩვენი საზღვრებიც გადმოლახა. უჩას, აბა, ვინ გამოუშვებდა შინ, ალექსანდრეც წავიდა ფრონტზე, გამოთხოვებისას მამას საიდუმლო გაანდო — ცოლი და შვილი მყავს, იმათ მიმიხედეო, ეწყინა მოხუცს, ჭორები გამართლდა, სხვისი ნაცოლარი დაუსვამს ცოლად სანაქებო შვილს.

სიძეებიც წავიდნენ ფრონტზე. კოწია თავის ბატალიონს გაუძღვა, ვარლამი კი პოლიტმუშაკად გაიწვიეს ქართულ დივიზიაში. შალვა არ გაუწვევიათ ფრონტზე, რკინიგზის დეპოში ინჟინრად მუშაობდა, სამხედრო ფორმა ჩააცვეს და ლოკომოტივების გარემონტება მიანდეს.

დარდში დრო გაიწელა.

ურჩხულმა კავკასიონამდე მოატანა და ქედზე გადმობობღება დააპირა. მარუხზე კოწია დახვდა თავის ბატალიონით.

ხარკოვში იდგა უჩას დივიზია.

ქერჩში მოხვდა ვარლამი.

მოსკოვის მისადგომებს იცავდა ალექსანდრე.

დღედაღამე დაუღალავად შრომობდა ონისიმე, შვილიშვილებს არ მოშივდეს, არც შემიცივდეს, ცოტა იქნებ ფრონტსაც წავეშველო, დღე რკინიგზას ემსახურებოდა, საღამო ხანს კოლმეურნეობის ზვრებსა და ყანებში უფლახუნებდა თოხს. ლამფის შუქზე გაზეთებს კითხულობდა.

ოჯახის თავი ანა იყო, რეცხავდა, კერავდა, სადილს ამზადებდა, ძროხას უვლიდა და ბავშვებს დასდევდა. სამი ბიჭი ყავდა თინას და კოწიას, ქალ-ვაჟი მარიამსა და ვარლამს, ერთიც — ალექსანდრეს. შალვა ოჯახით ხაშურში ცხოვრობდა და იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

დრო ნელა, მაგრამ მაინც გადიოდა.

დიდი ამბები დატრიალდა ქერჩში, ვარლამი გაქრა უგზოუკვლოდ.

ხარკოვი მტერმა აიღო, უჩას მნახველი არავინ გამოჩნდა.

კოწიამ შავი დღე აყარა ურჩხულს, მარუხიდან გადაყარა და ახლა ვოლგაზე შეხვდა, სტალინგრადისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა, უკვე დივიზიას მეთაურობდა.

არც ალექსანდრე აყრიდა კარგ დღეს მტერს. მოსკოვის მისადგომებთან კუდით ქვა ასროლინა.

ანა ძროხას წველიდა, რძიდან ყველი ამოჰყავდა, წაქიდან ნადუღს და შემდეგ ფაფას ადუღებდა, შვილიშვილებს აპურებდა, ყველს ყიდდა, ბავშვებს მოსავდა.

მოხუცებს ფიქრისათვის არ ეცალათ, ჭიშკრისაკენ გასახედი დრო არ რჩებოდათ. ონისიმე მაცა, მაცას აღარ იძახდა, დაუზარლად დარბოდა აღმა თუ დაღმა.

შინ დარჩენილის დარდი არა ჰქონდათ და მოულოდნელად შალვა გახდა ავად, ტილმა უკბინა ალბათო, ტიფი შეეყარა.

ობლად დარჩა ოთხი შვილი, უფროსი ზურაბი თხუთმეტი წლისა, უმცროსი კი შვიდი წლისა.

იტირა და თავში ხელი ირტყა ანამ, ახლა გაახსენდა დანარჩენი შვილები, სიძეები.

სად არის უჩა, სად არის ვარლამი?

ალექსანდრე, შვილო, კოწია, ბიჭო მოძებნეთ უჩა, მოძებნეთ ვარლამი. დაბრუნდით, შინ დაბრუნდით!

ალექსანდრემ ვერ მოძებნა ვერც ძმა და ვერც სიძე, მკერდი შეუნგრია ერთმა ციცქნა ნაღმის ნამსხვრევმა.

„გმირულად დაეცა შენი შვილი“, — აქვითინდა ონისიმე. სატირლად არ ეცალა ანას, ან კი ვინ ეტირა, მკვდარს ვერ ხედავდა, წასული კაცის დაღუპვას არ იჯერებდა.

— დავიღალე, — უთხრა დილით ონისიმემ ცხოვრების მეგობარს, — აღარ შემიძლია, მარტო უნდა დაგტოვო, მაპატიე! — და თვალი მილულა.

— რას ამბობ! — შეჰყვირა ანამ, — ბავშვებს, მტერს და მოყვარეს მე მიტოვებ, ადექი ჩქარა!

— მაცა, მაცა! — წამოცდა ონისიმეს, უნდოდა ეთქვა სულის ამოსვლაო, მაგრამ მეუღლემ აღარ აცალა, ფეხზე წამოაყენა, აბგაში საგზალი ჩაულაგა და ყანაში გაუშვა.

ბავშვები წამოიჩიტნენ, ახლა შალვას ბავშვებიც უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ბებიასთან, განსაკუთრებით უფროსი ბიჭი — გივი, ჩამოვიდოდა, დაიზურგებოდა და კვლავ შინისაკენ გაუტევდა, ნიჭიერი ბავშვი გამოდგა, სულ ხუთებზე სწავლობდა, გერმანულს იზეპირებდა — დედანში კითხულობდა ცვაიგსა და შილერს, ვარსკვლავთმრიცხველობა ისწავლა, მათემატიკის რთულ ამოცანებს ზეპირად ხსნიდა.

დრო გადიოდა, ატომური ბომბი მზადდებოდა დედამიწაზე.

ურჩხული თანდათან თავის ბუნაგში მიძვრებოდა.

თინა თბილისში, ქარხანაში მუშაობდა, დროდადრო ჩამოუქროლებდა ხოლმე შვილებს და უკანვე ბრუნდებოდა, ქარხანაში ჰურვებს ამზადებდნენ.

ვერც მარიამი იცლიდა შვილებისათვის. ალექსანდრეს ქვრივმა ერთხელ კიდევ გაამწარა მოხუცები, შვილი მიატოვა და ვიღაცას გადაეკიდა.

ონისიმე მოიხარა და გამოიფიტა, წვერულვაში გაუთეთრდა და ხელები დაუგრძელდა, ფეხზე იდგა, რომ ეშრომა და ეწვალა, ასე იყო საჭირო.

ანა ბავშვებთან ქაქანში იქარვებდა გულს.

კოწია დანაპირს ასრულებდა, მტარვალს ბუნაგში მისდევდა. ანაზდად, ბერლინთან, მტრის ჭურვის ნამსხვრევმა ფეხი მოამტვრია და შეაჩერა. შინ გაგულისებული და ცალფეხა დაბრუნდა, გაპრიალებულ ხრომის ჩექმებს ველარ იცვამდა და მუშტებს იქნევდა, ჰიტლერს ლანძღავდა, ცალფეხა ჯარისკაცი რაღა მაქნისი ვარო.

გამოუძებნეს შესაფერისი სამსახური, შვილები წაასხა ზესტაფონიდან და მოხუცებს შრომა შეუმსუბუქა.

ერთ საღამოს, ონისიმე უხმოდ მიწვა, ანამ კიდევ არ დამიშალოსო, მიწვა და დაღლილი სხეული მოასვენა, დილით აღარ გაუღვიძია.

დაიტირა ერთგული მეგობარი ანამ, შვილიშვილებმა, ქალიშვილებმა, რძალმა და ცალფეხა კოწიამ გაუხარელი მიწას მიაბარეს.

დაკარგული ვარლამი გამოჩნდა, ტყვეობიდან გამოპარულა, პარტიზანებთან იბრძოდა თურმე, ახლა მოქმედ არმიაში ვარ და ბერლინს ვუტევთო. იქნებ უჩაც გამოჩნდეს, გაუელვა ანას, ალექსანდრეც არ მინახავს მკვდარიო, მაგრამ ლოდინისათვის ჯერ კიდევ არ ეცალა, შვილიშვილებს ცოტა აკლდათ, რომ წამოფრენილიყვნენ.

ურჩხული თავის ბუნაგში გასრისეს, ომიც დამთავრდა და ატომური რისხვა დაატეხა მსოფლიოს ამერიკამ.

ვარლამი დაბრუნდა და თავის ცოლშვილს მიხედა, სკოლას ჩაუდგა ისევ სათავეში.

შემოეცალა ანას შვილიშვილები, ახლა უკვე ბევრი დრო ჰქონდა ლოდინისათვის, გამოიტანდა ჯორკოს, დაჯდებოდა გადასახედზე და გასცქეროდა გზას, უჩას ელოდებოდა, ალექსანდრესაც. ალექსანდრეს იმდენად არა, უჩას იმედი ჰქონდა, უმცროსია და არ შეიძლება არ დაბრუნდესო.

შალვას ბიჭმა, გივიმ სკოლა დაამთავრა და დაკემსილი შარვლით მოსკოვში გაუტია, უნივერსიტეტში ჩააბარა გამოცდები, ატომური ენერგია ხალხის სამსახურში უნდა ჩავაყენოო.

კოწიას ბიჭმაც დაამთავრა სკოლა, ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა...

მერე ალექსანდრეს ბიჭი გაუყვა იმ გზას, ბიძა რომ წავიდა, ხარკოვში სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები.

ცხოვრება გამოცოცხლდა, ზესტაფონმა ერთბაშად იმძლავრა და ანას ცხვირწინ ამოვიდა ქალაქი.

მერე, ის იყო, თანამგზავრი გაუშვეს კოსმოსში.

ანა კი იჯდა და გზას გასცქეროდა.

შპალებით ნაგები სახლი დალპა, სახურავი დაცხავდა და გადაქანდა.

თინა და მარიამი დროგამოშვებით შურდულივით ჩამოუქროლებდნენ დედას, ინახულებდნენ, წამლებს მოუტანდნენ, ქვეშაგებს გაუსწორებდნენ და ისევ თავის ოჯახებს მიაშურებდნენ.

შვილიშვილები იშვიათად მოდიოდნენ, არ ეცალათ, საქვეყნო საქმეებს აკეთებდნენ.

ანა არცერთ შვილს არ მიჰყვებოდა, გამოიტანდა ჯორკოს, დადგამდა გადასახედზე და ერთავად გზას გაჰყურებდა. ასე გადიოდა დრო და ერთხელაც ველარ ადგა, როგორც იჯდა, ისე ნახეს მეზობლებმა, სკამზე გაციებულიყო.

დაიძრნენ ყოველი მხრიდან, ანას ძველი სახლისაკენ, ახლობლები და ნაცნობები, შვილიშვილები, გივი მოსკოვიდან თავისი ცოლშვილით ჩამოფრინდა, თბილისიდან ჩამოვიდნენ თინა და კოწია, მარიამი და ვარლამი შვილებით. აივსო ეზო, ახმაურდა ძველი ოდა.

ადრიანი გაზაფხული იყო, მზე ჭიატებდა, შემორჩენილი თოვლი დნებოდა და ჭყაპი იდგა.

ცივცივ გაიტანეს სასაფლაოზე შვილიშვილებმა ბებიას ცხედარი, აქეთ-იქით არც გაუხედიათ. გაიტანეს, ცრემლითა და სიმღერით მიწას მიაბარეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ მხოლოდ მაშინ იგრძნეს, გაზაფხულის მოძალება...

გზა ტყის კორომში გადიოდა.

გაოცებული შედგა გივი — ია-იათი გადაპენტილიყო კორდი.

შედგნენ დანარჩენებიც, რა სილამაზეაო წამოცდა ვიღაცას.

ზურაბი დაიხარა და ია-ია აიყვანა.

ბებია ანამ დაგვიტოვა ეს სილამაზე, წაიჩურჩულა ზურაბმა და ისიც დაიხარა, დაიხარნენ დანარჩენებიც...





„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი შრომის ანაზღაურებით, კერძოდ, უფლება, — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით".

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტიდან.

# კედლები ცაში აჰყავს

ის ზუგდიდის № 26 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში მუშაობს, სადაც ყოველწლიურად სამმილიონამდე მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სრულდება.

ამ კოლონაში მოწინავე მებეტონე და კალატოზი რომ იკითხოთ, მაშინვე თამარ ნარმანიას დაგისახელებენ.

თამარის დამსახურების დასადასტურებლად საკმარისია ორულუს მეცხოველეობის უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობაზე გაღებული მისი წვლილი აღვნიშნოთ. მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს და რომლის ერთ-ერთი მოწინავე წევრიც მისი მეუღლე ზაურ ნარმანია გახლავთ, ყოველთვის მოწინავეა.

გარდა ორულუს კომპლექსისა, თამარის ბრიგადამ ზუგდიდის რაიონში მრავალი ბაგა-ბაღის, სკოლის, საავადმყოფოსა და სხვა დაწესებულებათა შენობა ააგო.

თამარის თავდაუზოგავი შრომა დაუფასებელი არ დარჩენილა. მეცხრე ხუთწლედში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ზუგდიდის რაიონში მრავლად არიან სახელოვანი ქალები. მარტო თამარ ყუფუნიას გმირობა რამდენს ნიშნავს! თავის დროზე ახალგაზრდა მწველავთა მშვენიერ პლეადას ეკუთვნოდნენ დები ციალა და იზოლდა ლეთანძეები, რომელთა პრაქტიკულ ჩვევებს დღესაც იყენებენ ახალგაზრდა მეცხოველეები.

მშენებელი ქალი, ისიც სამი შვილის დედა, თამარის გარდა არავინ არის რაიონში.

— მეათე ხუთწლედში კიდევ მეტი უნდა გავაკეთო, — ამბობს თამარი და მოითხოვს „საქსოფმშენინდუსტრიამ" მეტი ყურადღება მიაქციოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ხარისხის გაუმჯობესებას და მის დროულ მიწოდებას.

ამჟამად კოლონისათვის ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი მშენებლობაა კახათის 600-ადგილიანი პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი, რომლის ხარაჩოებზე დგას თამარი და ცაში აჰყავს კედლები.

ი. გამსახურდია

## სამაია

სამეული ცეკვავს ქალთა,
რხევა ტანთა, ბროლის მკლავთა.
ნისლს მიუგავთ კაბის კალთა,
ცეკვავს თამარ, ნინო, თამთა.
ფერიების სამეული,
სამი მკერდი,
სამი გული,
ნუშის ყვავილმოხვეული
სიცოცხლე და სიხარული.
ნეტარება,
სულის ღელვა,
მარმარილოს შუქით ელვა,
აცხადება ნანატრ ფიქრთა
ნაქანდაკარ ნაკვთებითა.
გამიტაცებს ფრენა-ფრენით,
ხან მიწაზე დამსვამს უცებ,
მათი ბაგის ლალის ფერი
შეშურდება ვარდის ფურცელს.
სახეს, მთვარის სხივით ნაფერს
მოშვილდია მერცხლის ფრთები,
დილასავით მაფენს ნათელს,
შემომყურებს გიშრის ტბები.
მოყვარულნი
და გამრჯენი
არასოდეს ბერდებიან,
ისინი ხომ
ჩვენთა შვილთა,
ჩვენთა გმირთა დედებია!
ვუცქერ სამთა შემართებას,
არ ვიცი რა მემართება:
ამაღლებულს სუნთქვა მიჭირს,
რაღაც ისეთ ძალით მავსებს,
როცა ცეკვავს ერის ნიჭი,
საქართველოს სილამაზე!

მიხეილ სანიკიძე

## სინათლე

სულ ყველაფერი გაქრება ბოლოს,
ამ ცხელი გულის და ტრფობის გარდა:
და შენ დამრჩები, სამშობლოვ, მხოლოდ
და კიდევ ის გზა — შენით რომ მწამდა!
შენს სიმაღლემდე, შენს სიშორემდე.
რომ მოვაწვდინო ჩემი ძახილი,
უნდა მტკიოდეს შენი ტკივილი,
ხორცით კი არა სულის ნაწილით...
უნდა დავიწვა და დავიფერფლო,
ეს არაერთხელ მითქვამს წინათვე,
რომ დავინახო სივრცეთა მიღმა
მხოლოდ და მხოლოდ შენი სინათლე!

ლია არჩვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ილო მოსაშვილი

ეს სახელი და გვარი თანაბრად საყვარელია ყველასათვის, ვისაც უყვარს ქართული პოეზია, ჩვენი მიწა და ჩვენი მამული, ჩვენი მშობელი საბჭოთა ქვეყანა.

წლეულს მისი დაბადების 80 წელი შესრულდა. სამწუხაროა, რომ საიუბილეო თარიღს თავად ვერ ესწრება, მაგრამ სანაცვლოდ მისი შემოქმედება, მისი ვაჟკაცური პოეზია... ილო მოსაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით, მრწამსით და საქმით მხარში ედგა საბჭოთა საქართველოს, მის განახლებას, ამაღლებას, ამიტომ იგი სამართლიანად იმსახურებს თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მოქალაქის სახელს!

# მოგონება

ა — ნამგალს ჰგავდა, — ბ — ვერცხლის სურას
თაროზე მაღლა აწვდილი ყელით,
წიგნში პირველად ვეძებდი სურათს
და მაწვალებდა სტრიქონი გრძელი.
ხშირად გავყვები ცდუნებას ბურანს,
თითქო მეორე ბავშვობას ველი.

აი, იქა ვარ, არაგვის პირას,
ვაჟას ეზოში შევდივარ ჩანთით,
ვინ იცის, მე იმ შორეულ დილას
თათებზე შემდგარ ბელივით ვჩანდი,
შევაღე კარი და თოფის რკინას
დუმით პოხავდა ცალთვალა ლანდი.

ძირს ირმის ტყავი, კედელზე ხმალი,
რქებზე ელვარე ფშაური შიბნი,
სამფეხა სკამზე ძველი და მკრთალი
იწვა ზონარზე გახსნილი წიგნი,
უეცრად სურათს შევასწარ თვალი:
ვეფხვი და ლომი კვდებოდა შიგნით.

იწვნენ და რაღაც უნდოდათ ეთქვათ,
გმინვით მიწვდიდნენ დაცვეთილ ბწკალებს,
წაკითხვა ვცადე და გულის ფეთქვა
გაჰყვა ისრებად გასროლილ ბწკარებს,
პირველი ასო ქაჯივით მედგა
და არ მიღებდა სტრიქონის კარებს.

მობრუნდა ვაჟა და გმირის მტკავლით,
გამითბო მხრები, თოვლში ნატარი,
ბუხარში წითლად ღუოდა ნავლი
და ცეცხლს ეფარა ლომის ფაფარი.
გაფენილ ტყავზე ვისხედით სამნი:
ვაჟა-ფშაველა, მე და ზღაპარი.

დიდხანს ვუსმენდი შუბების ლესვას,
დიდხანს დნებოდა ბუხარში ძელი,
შვიდასი წლის წინ გახსნილი — დღესაც
გმირის ჭრილობა არ იყო ძველი.
ტარიელის და ნესტანის კვნესას
ბავშვის გულშიაც ხატავდა ბრძენი.

ვფურცლავდით წიგნს და თვითეულ სტრიქონს
შუქის კანკალით მისდევდა კვარი,
შიშით ვუცქერდი, — მეგონა, თვითონ
ვაჟას მიჰყავდა ქაჯეთზე ჯარი.
ხმალი შემოჰკრა სტრიქონის ლითონს
და უცებ შეხსნა ნესტანის კარი.

რა დაემართა... დააგდო წიგნი,
ეროად დახუჭა ორივე თვალი...
რქებზე წკარუნით ჩამოწყდნენ შიბნი
და ბუხრის თავზე შეირხა ხმალი.
გვიან წამოდგა და მკერდზე, — შიგნით,
თუნგით ისხურა არაგვის წყალი.

1937 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინელი პოეტი ქალები

რამდენიმე წელია ვმუშაობ თანამედროვე რუმინული პოეზიის ანთოლოგიის თარგმანზე. ამის გამო სამჯერ ვიყავი მივლინებული რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში. პირადად გავეცანი იქაურ პოეტებს. ბწკარედი შესრულებულია უშუალოდ რუმინული ენიდან, რაც გაცილებით მიადვილებს მუშაობას.

ამჟამად გთავაზობთ რუმინელი პოეტი ქალების ლექსთა ახალ თარგმანებს.

ოთარ შალამბერიძე

## ანა ბლანდიანა

### წვიმის დაფიცება

თავდავიწყებით მიყვარს წვიმები:
ვეტრფი მშვიდსა და შფოთიან წვიმებს.
მე მიყვარს,
როცა ქალწულივით მორცხვობს ჟუჟუნა,
მე მიყვარს,
როცა მზე პირს იბანს,
მე მიყვარს ჟინჟვლა,
მე მიყვარს,
როცა თავს აიწყვეტს წვიმა ქალივით.
მე ვილუმპები მობრჭყვიალე მაღალ ბალახში,
ვწყვეტ წვიმის თოკებს.
მივდივარ.
მაწვიმს.
ბდღვრიალა ყვავილს ვიკეთებ თმაში
და ჩემი ცქერით
ბრუვდებიან მამაკაცები.
ულამაზოა —
საკუთარი შეიქო თავი:
„მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი“, —
ეს რა თქმა უნდა სისულელეა,
და შესაძლოა,
მოკლებულიც იყოს სიმართლეს,
და მაინც, მაინც მომეცით ნება,
როდესაც წვიმა იწყებს სიმღერას,
ო, მხოლოდ მაშინ,
როცა წვიმა სიმღერას იწყებს,
ლაღად წარმოვთქვა ჯადო — ფორმულა:
„მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი!“
მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი,
რადგან წვიმები უკვე მღერიან.
სახეში მცემს და თმებს მიბურდავს
ანცი შხაპუნა.
მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი,
რადგანაც ქარი
ტანზე მატმასნის გალუმპულ კაბას
და შიშველ მუხლებს ძლივს-ძლივს ვიფარავ.
მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი,
რადგან შენ ძლიერ შორსა ხარ ჩემგან
და გელოდები.
მე ვარ ყველაზე ლამაზი ქალი,
რამეთუ ვიცი ლოდინის ფასი
და შენ ამაყობ ჩემი ლოდინით.
ჰაერში დაქრის სიყვარული და სინატიფე
და წვიმის სურნელს იჭერს გამვლელი.
ხოლო წვიმაში სიყვარული წამიერია.
ყველა გამვლელი ყელამდეა შეყვარებული,
მე კი შენ გელი ისევ და ისევ.
შენ კარგად იცი,
რომ ჩემს მოლოდინს
ასდის წვიმების თბილი სურნელი.
თანაბრად ვეტრფი
შფოთიან და ჟუჟუნა წვიმებს.
მე მიყვარს,
როცა ქალწულივით მორცხვია წვიმა
და მიყვარს,
როცა თავს აიწყვეტს წვიმა ქალივით.

## გაბრიელა მელინესკუ

### ტყეში გავლა

გამოამჟღავნა განთიადმა ნიშნები თვისი:
თუ შეგიძლია, გაიარე ამ ნიშნებს შორის.
ცინცხალ-ცინცხალი ამოდიან სიტყვები ჩემგან,
და ანათებენ ცივად, როგორც ანათებს ბროლი.
ეთამაშება ჩემს სუნთქვას ალი
და ტანში თითქოს მეშენება უცხო სამყარო.
ვბუტბუტებ ყველა ენაზე და არცერთ ენაზეც,
ყველგან და არსად სიარულმა მინდა დამღალოს.
შაქრისფეხება ვარ მონა-ქალიც
და დედოფალიც თიხის კეფითა,
სწორედ ამ დილით ზარის ხმებში ვიყავ დანთქმული,
სწორედ ამ დილით თავად ზარში ვირეკებოდი.

მე თვითონ ენად ვეკიდე იმ ზარს
და გაშმაგებამ ტანი ჩემი სუმთლად მოიცვა,
ვეება სივრცეს ვიკრავდი მკერდში,
აი, ძიება, არმყოფობით რომ გამოვიცან,
აი, სიამე, ტკივილისგან რომელიც შემრჩა.
შეუბღალავმა მისმა ხმებმა მონათლა სივრცე;
თვით კი ძიება, არმყოფობით რომ გამოვიცან
და მტკივნეული ნეტარება — ხელახლა ვიგრძენ.

## მარია ბანუში

### სიჩუმის პირად

სიჩუმის პირად
არის ბაწია, ლამაზი მხარე,
სადაც სასულე ორკესტრი გრგვინავს
და ბამბასავით გაპენტილი ღრუბლები თვლემენ.
დარეკე, შეი. ტაკიმასხარავ,
ყოვლადძლიერო, დაჰკარ, დარეკე!
ჩაჰბერე ე მაგ საკვირველ საყვირს,
ჩვენც შენთანა ვართ,
ჯადოქმნილნი შენი თილისმით.
თვალ-ყურს გადევნებთ,
თუმცა, შიშისგან ეგ ზარ-ზეიმი
ჰკარგავს თავის მომხიბვლელობას.
ხმა ბაზრობისა იხვრიტება
მდუმარების მრგვალი ტყვიებით.
გულგამგმირავად ჰიხვინებს ცხენი
ფორანს მიბმული.
მასაც სიჩუმის მოხვდა მათრახი.
ყველგან, ყოველმხრივ,
საზღვრისეული მეფობს სიჩუმე,
რომელიც სროლის ხაზზე მიგველის
ტყვიის მრგვალი და შავი თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარსულთა ჩვენთა მეისტორიე



ამ უბრალო ოთახში, შესასვლელიდანვე იგრძნობა შორეულ საუკუნეთა სუნთქვა, გარდასულ დღეთა რუდუნება და სიმკაცრე... თაროებზე აღარ ეტევა უამრავი წიგნი, დიდტანიან ხელნაწერთა „მთები“, ცალკეულ შეკვრებზე ნათლად იკითხება: „ქართული ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, „საქართველოს საეკლესიო სენიორიები“, „გელათი“...

ცნობილი მკვლევარის — ბაბილინა ლომინაძის სამუშაო კაბინეტში ვიმყოფებით. ჩვენი მასპინძელი ჭაღარაშერეული ქალი, ოდნავ ათრთოლებული ხმით გვაცნობს განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, გვიმხელს მეცნიერული მუშაობის „საიდუმლოებებს“...

ქალბატონმა ბაბილინამ ასპირანტურის კურსი აკადემიკოს ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და სიმ. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. დიდმა მასწავლებლებმა ძირითად ამოცანად ქართული ეკლესიის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა დაისახეს.. იმ პერიოდში ასეთი გრანდიოზული თემის აღება მარტოოდენ მეცნიერულ შემართებასა და ტიტანური შრომისათვის მზადყოფნას როდი ნიშნავდა... იგი წმინდა მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა. სამწუხაროდ, ბევრი ულტრამემარცხენე ვაიმეცნიერი აშინებდა დამწყებ მკვლევარს, თემა აქტუალური არ არისო. ერთი წყება კი უბიძგებდა „ქრისტიანიზმში განსხეულებული ქართული ეროვნული სულის რელიგიურობის პანეგირიკისაკენ...“

ისტორიკოსმა მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვებით მაღალკვალიფიციური გამოკვლევების მთელი სერია შექმნა ქართული ეკლესიის, როგორც განსაკუთრებული ფეოდალური ორგანიზაციის, ძირითადი თავისებურებების შესანიშნავი ინტერპრეტაციით. ამ გამოკვლევებით შესწავლილია საეკლესიო სენიორიების შინაგანი სტრუქტურა, მათი ექსპლოატატორული ბუნება, ფეოდალური სახელმწიფოს და მისი იდეოლოგიური საყრდენის ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ. ამ პრობლემათა დასმისა და გადაჭრის ხარისხის თვალსაზრისით ქალბატონ ბაბილინა ლომინაძის მოღვაწეობა ჭეშმარიტად უნიკალური შინაარსისაა. სწორედ ამიტომ აძლევდა მაღალ შეფასებას მეცნიერ ქალს მისი მოძღვარი — ნიკოლოზ ბერძენიშვილი. ხაზგასმით აღნიშნავენ მის ნაყოფიერ მოღვაწეობას აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი, პროფესორები ვ. გაბაშვილი, მ. დუმბაძე და სხვები... ხანგრძლივი თემატური შემოფარგვლის გამო, ქალბატონი ბაბილინა ქართული ეკლესიის ისტორიის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი გახლავთ. ასეთი, თითქოს ლოკალურობის მიუხედავად, მან თავი დააღწია ქართულ მედიევისტიკის ერთ უდაო ხარვეზს, არ ჩაკეტილა გარკვეული პრობლემის „ვიწრო სპეციალისტის“ ნაჭუჭში. თითოეული მოვლენის კომპლექსურმა, რაც მთავარია, ღრმამეცნიერულმა შესწავლამ წინამორბედ ავტორთა შრომების კრიტიკულად, შემოქმედებითად განხილვამ, წყაროსთან უშუალოდ მისვლამ, დამოუკიდებელი წვდომის უნარმა, ბაბილინა ლომინაძე პირველსხარისხოვანი წყაროთმცოდნეების ფრთხილ ისტორიოგრაფების რიგში ჩააყენა. უფრო მეტი, უკანასკნელ ხანებში იგი XIII-XV საუკუნეების საქართველოს სოციალ-ეკონომიკური, განსაკუთრებით, პოლიტიკური ისტორიის ბრწყინვალე მცოდნედაც მოგვევლინა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომის ყველაზე მოზრდილი ნაკვეთის დამუშავების მეცნიერული დონე ზემოთმოყვანილი თეზისის შესანიშნავი ილუსტრირებაა. ეს უაღრესად რთული საუკუნეები — „ძნელბედობისა“ და „დროებითი აღზევების“ ეპოქა, საქართველოს პოლიტიკური სიცოცხლის „დიდი ღამის“ დასაწყისი ამ ნაშრომში მეტად მახვილგონივრულად და ახლებურად არის წარმოდგენილი.

ქალბატონმა ბაბილინამ დიდი ამაგი დასდო პირველ ქართულ ენციკლოპედიას, რომლისთვისაც ასოცდაათამდე სტატია დაამუშავა... საერთოდ კი მის მიერ გამოქვეყნებულ თუ გამოსაქვეყნებელ ნაშრომთა

რიცხვი ორას თვრამეტს აღწევს. მაგრამ მკვლევარის მეცნიერული შემოქმედების ძირითადი თავისებურება არც დამუშავებულ პრობლემათა რაოდენობაა და არც მოცულობა. მთავარი, ამ გამოკვლევათა ორიგინალურობა, ხშირად, უნიკალურობაც არის... ბაბილინა ლომინაძე მკვლევარია ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ძუნწი, ლაკონიური ფრაზა, შეკუმშული თეზისი, ყოველთვის დასაბუთებული დებულება, შინაარსიდან გამომდინარე დასკვნა, გამართული მეთოდოლოგიური საფუძველი, მარქსისტული პოზიცია — აი მისი სტილის დამახასიათებელი ნიშანთვისებები... მის ნაშრომებში ვერ შეხვდებით ვრცელ, არაფრისმთქმელ აღწერილობებს, გასაბერად გამიზნულ ექსკურსებს, გაფუყულ ვითარებას, ციტატომანიას. ყოველ წინადადებას თავისი ზუსტი ფუნქცია აქვს. ჩამატება ზედმეტია, ამოგდება ჭირს, ოღონდ, ეს არის, სტილია ცოტათი „დამძიმებული“, მაგრამ ამის მიზეზი ფრაზის შინაარსობრივი „დატვირთვაა“

კიდევ ერთი „ნაკლიც“ უნდა აღვნიშნოთ — ბაბილინა ლომინაძეს არ უყვარს (და არც ეხერხება) საჯარო გამოსვლები. ყოველთვის ცდილობს თავისი აზრი წერილობით წარმოადგინოს. ფრთხილია კამათში, მისთვის უცხოა ორატორული მანერია მომარჯვება, ესოდენ მომგებიანი რომ გახდა იაფფასიანი ავტორიტეტის შესაძენად. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“, — აი მისი ცხოვრების დევიზი. მაგრამ, როდესაც წყდება პრინციპული საკითხი, წმინდა მეცნიერული თუ მოქალაქეობრივი შინაარსის პრობლემა, მაშინ ქალბატონ ბაბილინას დუმილი არ ძალუძს. იგი გააფთრებით იბრძვის ეროვნული ისტორიის როგორც ულტრაპატრიოტული, არაინტერნაციონალური გადახვევების, ასევე ნიჰილისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში მას ჭეშმარიტი მეცნიერული პატიოსნების დიდი სამრეკლოდან ზარების რეკვა და განგაშის ატეხვაც შეუძლია... სწორედ ერთი ასეთი განგაშის დროს უთხრა ე. წ. „ნეგატიური მოვლენების ოცწლედის“ ვაიხელმძღვანელმა ქალბატონ ბაბილინას მთელ რესპუბლიკაში ანეგდოტად ცნობილი სიტყვები „რას მირევ, ქალო, ამ საათივით აწყობილ რესპუბლიკასო!“

უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა მეცნიერი ქალი ახალ ძვრებს, განმწმენდ გრიგალს, ხელმძღვანელობის კრიტიკულ-შემოქმედებითი მეთოდების დანერგვას, დასაშვებისა და დაუშვებელის კომპრომისის აბსოლუტურ უარყოფას, კარგისა და ცუდის სრულ გამიჯვნას, დაუოკებელ სრბოლას სიკეთისათვის...

ქალბატონ ბაბილინა ლომინაძეს განახლების ეს წმინდა პროცესი ცხოვრების ყველაზე დიდ ჯილდოდ მიაჩნია. ვუსურვოთ სახელოვან მეცნიერ ქალს, ჩვენი დიდი ეპოქის შესაბამისი წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**ლ. ტუხაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**





ეროვნული ბიბლიოთეკა



ზინაიდა ბიჩკოვსკაია,
სოციალისტური შრომის გმირი, ბსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

# „შენ სიმღერა ხარ!“

„შენ სიმღერა ხარ...“, „გაზაფხული ხარ, ნათელი...“ „ვადიდოთ ქალი-დედა... უდედო პოეტი არ არის, გმირი არ არის უდედოდ...“

საუკეთესო ლექსებს, ყველაზე გულშიჩამწვდომ სიმღერებს ჩვენი ხალხი ქალს — დედას, მეგობარს, ამხანაგს, სატრფოს უძღვნის, ქალს — თანამედროვეს, გამრჯეს, მედგარს, ნაზს.

იგი მოაბიჯებს დედამიწაზე და ამშვენიერებს, ამდიდრებს მას.

იგი სწვდება მეცნიერების საიდუმლოებებს...

იგი ამქვეყნად სიცოცხლეს ბადებს, თვალისჩინივით უფრთხილდება, იმედით, შიშით და მღელვარებით დაჰკანკალებს თავს.

ქალი სრულუფლებიანი დიასახლისია დიდი საბჭოთა ოჯახისა.

მისი ხელები ერთნაირად მართავს ტრაქტორის საჭეს, ხმარობს მხატვრის ფუნჯსა და ქირურგის სკალპელს.

საუკუნეთა სიღრმეებიდან კი მას — ამაყსა და ბედნიერს, თითქოს შემოსცქერის თავისი წინაპარი, თავისი პაპის დედა-უუფლებო, აუტანელი შრომით დაჩეჩავებული, ოჯახში დამარცხებული, უწიგნური. მაგრამ მის თვალებში იმედის ნაპერწკალი გამოსჭვივის — მსოფლიოში უკვე ქუხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ბოლშევიკების პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი კი აცხადებს: „იმ კანონიერებიდან, რომლებიც ქალს დამონებულ მდგომარეობაში აყენებდა, საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა ქვაზე არ დარჩენილა“.

ოქტომბრის სამშობლომ აღმშენებლობის უმაგალითო მწვერვალებამდე აიყვანა თავისი შვილები — ქალები. საბჭოთა ხელისუფლებამ მსოფლიოს უჩვენა ძირეული სოციალური საკითხების, კერძოდ, ერთ-ერთი მთავრის — ქალთა საკითხის გადაჭრის ნიმუში. მან, არა თუ კაცის თანაბარი უფლებები მიანიჭა ქალს, არამედ უზრუნველყო ამ უფლებების განხორციელება.

გაიარეთ დღეს ბელორუსიის ქარხნებში და მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის კომპლექსებში, შეიხედეთ სტუდენტთა აუდიტორიებსა და სკოლებში — ყველგან ნახავთ, თუ რა შთაგონებით შრომობენ ქალები. და ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელ ქარხანაში, ყოველ კოლმეურნეობასა და ინსტიტუტში ყველაზე პატივცემულ ადამიანთა შორის ქალებს დაგისახელებენ, რადგან საზოგადოებასა და ოჯახში თავიანთი ახალი, საპატიო ადგილი საბჭოთა ქალებმა უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ შრომაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობით დაიმკვიდრეს. ეს კი მთავარია მათი სულიერი განვითარებისათვის, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური შეგნების ზრდისთვის.

ჩაუფიქრდით ასეთ ციფრებს. ჩვენს რესპუბლიკაში მთელი მატერიალური და სულიერი ღირებულების ნახევარზე მეტს ქალის ხელი, გონება, შემოქმედება ქმნის. ბელორუსიის სახალხო მეურნეობის მშრომელთა 53,2 პროცენტი ქალია. არის დარგები — ვაჭრობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო მომსახურება, — სადაც მათ პრივილეგიური მდგომარეობა უჭირავთ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ხელსაყრელ პირობებს უქმნის მრეწველობის მთავარ დარგებში მომუშავე ქალებს



ცნობილი ბელორუსი პოეტი ვერა ვერბა



**ლარისა ჟარკო,**
**სუონიმსკის რაიონის,**
**ძერჟინსკის სახელობის**
**კოლმეურნეობის**
**ცნობილი ტრაქტორისტი.**

კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ჩვენში ყოველი მესამე ინჟინერი ქალია. ტექნიკოსთა დაახლოებით 40 პროცენტს ქალები შეადგენენ. რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების სპეციალისტთა 52,7 პროცენტი ქალებზე მოდის, ხოლო საშუალო განათლების სპეციალისტთა შორის კი — 64,9 პროცენტი ქალია.

ღრმა თვისებრივი ცვლილებები მოხდა გლეხი ქალის შრომაშიც. მას ნახავთ ტრაქტორისა და კომბაინის საჭესთან, მართვის პულტთან, მეფრინველეობის ფაბრიკასა თუ მეცხოველეობის კომპლექსში, კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის, მთავარი ზოოტექნიკოსის თანამდებობებზე. რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა 45 პროცენტი ქალია. ბევრი მათგანი სათავეში უდგას კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

ქალები დგანან აგრეთვე ახალი ტექნიკის სათავეებთან, ბევრი მეცნიერული აღმოჩენის აკვანთან. შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაითქვეს სახელი ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა თამარ კულაკოვსკაიამ — ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ლუბოვ ხოტილევამ — გენეტიკისა და ციტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, ტატიანა ბირიჩმა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, მეცნიერებათა დოქტორებმა — ქიმიკოსმა სოფიო ნაუმოვამ, ნეიროქირურგმა — მართა პავლოვეცმა, ფილოლოგმა იუზეფ მაცკევიჩმა და მრავალმა სხვამ. ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა შორის ქალი 11 ათასზე მეტია (ე. ი. 41 პროცენტი). აქედან 61-ს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვს, 2171-ს მეცნიერებათა კანდიდატისა., 32 ქალს მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის მინიჭებული აქვს სსრ კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა.

ჩვენი მშრომელი ქალები დიდ სახელმწიფოებრივ, პარტიულ, საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევიან, რასაც წარმატებით ახამებენ საწარმოო საქმიანობასთან. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ნახევარი ქალები არიან. 159 ქალი ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 18 კი — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში რესპუბლიკის წარმომადგენელია.

თანასწორობა, საკუთარი ღირსების შეგრძნება, მომავლის რწმენა, საყვარელი საქმე, ნიჭისა და ტალანტის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა — ყოველივე ეს ჩვენს ქალს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა.

სამშობლო დიდად აფასებს ქალთა შრომით გმირობას. ბელორუსიის 64 ათასამდე მშრომელი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 19,1 ათასს სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვს მინიჭებული.

ამასთანავე, პატივის უმაღლეს კვარცხლბეკზე ჩვენმა ქვეყანამ დედობა დააყენა, იგი ქალის სოციალურ ფუნქციად ცნო. დედის გმირობა ჩვენში ყველაზე დიდ პარტიულ გმირობას უტოლდება.

მაგრამ განა ქალი შეძლებდა წარმატებით შეეხამებინა დიდი საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობა დედობის, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელის ფუნქციებ-

ეროვნული



**საბჭოთა პატრიოტი დედის ძეგლი**

თან, თავის შვილის აკვანთან პირველივე დღეებიდანვე რომ არ იდგეს ორი დედა — დედა-ქალი და დედა-სამშობლო!

საბჭოთა სახელმწიფომ უდიდესი ზრუნვა იქისრა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობისა და ბედნიერებისათვის: ეს არის ქალის შრომის დაცვა, უფასო სამედიცინო დახმარება, ფეხმძიმობის და მშობიარობის გამო შვებულების ასპროცენტიანი ანაზღაურება, ავადმყოფი ბავშვის მოვლისთვის დღეების ანაზღაურება, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ფულადი დახმარება, სოციალური დაზღვევა, ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მოსავლელად შვებულების ნაწილობრივი ანაზღაურება, რომელსაც პარტიის სოციალური პროგრამა მეათე ხუთწლედისათვის ითვალისწინებს.

ეს არის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის ყოველნაირად განვითარება: საბავშვო ბაღების, სკოლების, პიონერთა სახლებისა და პიონერთა ბანაკების, ბავშვთა სანატორიუმებისა და სანატორიული სკოლების, სტადიონების, ბიბლიოთეკების, ტურისტული ბაზების მშენებლობა და ორგანიზაცია.

ეს არის სკკპ XXV ყრილობაზე წამოწყებული სოციალური პროგრამის წარმატებით განხორციელება და, უწინარეს ყოვლისა, ხალხის კეთილდღეობის, თითოეული ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

„რესპუბლიკის მოსახლეობის რეალური შემოსავალი 20-22 პროცენტით გაიზრდება...“ „ბელორუსიაში აშენდება 23 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი“... „კიდევ უფრო განვითარდება საყოფაცხოვრებო სამსახური, რომელიც სახალხო მეურნეობის დიდ, ტექნიკურად აღჭურვილ დარგად იქცევა“.

ასეთია მეათე ხუთწლედის ციფრების ენა, ჩვენი გეგმების ენა. ყოველი ოჯახისათვის, ყოველი დიასახლისისათვის კი ეს იმას ნიშნავს, რომ ექნებათ მეტი ახალი ნივთი, ახალი წიგნი, რომ მისი ოჯახის წევრები წავლენ სამოგზაუროდ, რომ ისინი რესპუბლიკის სამ მილიონ მცხოვრებთან ერთად ამ ხუთწლედში ახალ კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდებიან, რომ მათ უფრო მეტი დრო ექნებათ ბავშვების აღზრდისათვის, დასვენებისათვის, სწავლისათვის, რადგანაც უკეთესად იმუშავებენ ატელიეები, სამრეცხაოები, ქიმწმენდის ფაბრიკები, საპარიკმახეროები, ნახევარფაბრიკატების მაღაზიები.

...მშრომელი, დიასახლისი, დედა. განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო პატრიოტი ბელორუსი ქალები, ინტერნაციონალისტები. სწორედ ისინი აგრძელებენ წინაპართა სახელოვან ტრადიციებს, იმ წინაპრებისა, რომლებიც რევოლუციის ბარიკადებზე იბრძოდნენ, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მონაპოვრებს იარაღით იცავდნენ, პირველი ხუთწლედების ახალმშენებლობებზე შრომობდნენ, სწორედ ისინი, დიდი სამამულო ომის წლებში კაცებთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ სიმძიმეს და სიმწარეს თავიანთი სუსტი მხრებით ზიდავდნენ, იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ ფრონტზე, ზურგში პარტიზანულ რაზმებსა და იატაკქვეშეთში. ისინი იყვნენ მფრინავები, მზვერავები, სამხედრო ექიმები და მედიცინის დები, ისინი აცხობდნენ „პარტიზანულ პურს“. მარტო პარტიზანულ რაზმებსა და ბრიგადებში 60 ათასი ბელორუსი ქალი იბრძოდა. მათგან 16 ათასი საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, რესპუბლიკის ათ ქალს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

სწორედ ისინი, ჩვენი დედები, აცილებდნენ ფრონტზე თავიანთ შვილებს, შთააგონებდნენ დიდ გმირობას სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს გმირობა დღესაც ცოცხლობს ხსოვნაში. ბევრი პატრიოტი ქალის სახელი უკვდავყოფილია მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებებით, ქუჩების, სკოლების, მოედნების სახელწოდებებით, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებით.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ახალგაზრდა ქალაქ ჟოდინოში აღმართულია მონუმენტი პატრიოტი საბჭოთა ქალის პატივსაცემად. დედის პირველსახე გახდა ჟოდინოელი ანასტასია თომას ასული კუპრიანოვა, რომლის ხუთმა შვილმა (და მათ შორის პეტრე კუპრიანოვმა, საბჭოთა კავშირის გმირმა) სიცოცხლე გასწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ძეგლი სიმბოლურად გამოხატავს დედის მშვენიერ, კეთილშობილურ და ამაღლებულ სახეს, მისი სულის სიდიადესა და სილამაზეს, მილიონობით ქალთა გმირობას, რომელთაც უმაგალითო მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს ფაშიზმთან ბრძოლაში და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში, სიკეთისა და სამართლიანობის დაცვაში. და დღეს ბელორუსიის ქალები მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

მათ ალამაზებთ შრომა, დედობა, მხედრული გმირობა და შემოქმედებითი შემართება. პატრიოტი, ინტერნაციონალისტი ქალები მეგობრობის ხელს უწვდიან ყველას, ვინც პატიოსანია, ვისაც მშვიდობა და ბედნიერება სწყურია, მათ უმღერიან, მათ უძღვნიან ლექსებს. და თვითონაც... სიმღერასა ჰგვანან.

**მარიამ კარპენკო,**
ჟურნალ „რაბოტნიცა ი სიალიანკას“
მთავარი რედაქტორი.



# იმ ბობოქარ დღეებში

ომის დაწყების მეორე დღეს სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა სამი მეგობარი — ეკატერინე რაქვიაშვილი. ქეთევან ხომერიკი და მარიამ რეხვიაშვილი. ქალიშვილებმა გადაწყვიტეს ჩამდგარიყვნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. სულ მალე ისინი უკვე სევასტოპოლისაკენ მიმავალ მატარებელში ისხდნენ.

ბევრი რამ ნახეს ოთხი წლის მანძილზე — გაჭირვებაც, მწუხარებაც და ომის საშინელების გამო სევდაც. ხედავდა ეკატერინე ნანგრევებად ქცეულ ქალაქებსა და სოფლებს, უპატრონოდ დარჩენილ პატარებსა და მოხუცებს და გული მწუხარებით ევსებოდა. გუშინდელივით ახსოვს სევასტოპოლში გატარებული ბობოქარი ღამეები. გაუთავებლად ტრიალებდნენ ქალაქის თავზე მტრის სვასტიკიანი თვითმფრინავები და ყუმბარების წვიმა მოდიოდა ციდან. ინგრეოდა შენობები და ნადგურდებოდა ადამიანის ხელით წლების მანძილზე შექმნილი სილამაზე. ეკატერინე რაქვიაშვილი ხშირად იწვა ზღვის ნოტიო სანაპიროზე, ღამით დასველებული ტანისამოსი დილის მზის სხივებისაგან ტანზევე აშრებოდათ მებრძოლებს.

შემდეგ სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ეკატერინე რაქვიაშვილი იაროსლავლში გაგზავნეს. აქ იგი 171-ე დივიზიის შემადგენლობის ჰოსპიტალში მუშაობდა და თანაც მებრძოლებს პირველი დახმარების აღმოჩენას ასწავლიდა.

ბლინდაჟში ზოგჯერ გვიან ღამემდე არ ეკარებოდა ძილი, იწვა და იგონებდა წარსულს. აღარც სჯეროდა, რომ ერთ დროს მხიარული ქალიშვილი, სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მეგობრებთან ერთად საყვარელი თბილისის ქუჩებში დასეირნობდა. თითქოს არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ როგორ გამოიცვალა ყველაფერი, ყოველდღე უამრავი დაჭრილი შველას, დახმარებას ითხოვდა. რა ბედნიერი იყო ეკატერინე, როდესაც ჰოსპიტლიდან აცილებდა გაჯანსაღებულ მებრძოლებს! თავისი საბრძოლო ეპიზოდებიდან ყველაზე მეტად ერთი დაახსომდა.

მტრის თვითმფრინავებმა რეზინის კომბინატი დაბომბეს. მას სწორედ იმ დროს სამედიცინო კომისიაზე მიჰყავდა ლეიტენანტი იური ნიკოლაევი. უეცრად დაბნელდა ირგვლივ. საშინლად დაიგრუხუნა.

— მიწაზე გავწექით, — იგონებს ეკატერინე, — რამდენიმე ხნის შემდეგ იურის დავუძახე. ხმა არ გამცა, ხელი მოვკიდე, და სისველე ვიგრძენი. მივხვდი — დაჭრილიყო. სწრაფად გადავიყვანე სამედიცინო ნაწილში. უამრავი სისხლი დაეკარგა. დაუყოვნებლივ სისხლის გადასხმა იყო საჭირო, ჩემი სისხლი გადავუსხით და გადავარჩინეთ.

იურისგან ხშირად იღებს ეკატერინე ბარათებს. ბარათები სხვებისგანაც მოსდის. გადამრჩენელს არ ივიწყებენ.

**ნანული ჭავჭანიძე**

## ადამიანები და მათი საქმეები



# მანქანის საჭესთან

როცა ტყიბულ-ქუთაისის მატარებელი ელვასავით გაიქროლებდა, პატარა ეთერი დიდხანს იდგა უძრავად და ოცნებით გასცქეროდა ლიანდაგს, ზღაპრის უცნაურ გმირად მიაჩნდა ის, ვისაც ეს უზარმაზარი მანქანა მიჰყავდა.

შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ გოგონა შეეჩვია საორთქლმავლო დეპოს. მამისეულ ორთქლმავალს გარს უტრიალებდა, სურდა გარდაცვლილი მშობლის ადგილი დაეკავებინა, მაგრამ გულისნადებს ვერავის უმხელდა.

ერთხელ მამამისის მეგობარი, იმ დროისათვის ცნობილი მემანქანე, კოწია ბასილაძე წამოეწია დეპოსთან მიმავალს.

— ჩვენთან მუშაობა ხომ არ გინდა? — ჰკითხა მან თავჩაქინდრულ გოგონას.

უნდა, როგორ არ უნდა. მაგრამ გაბედოს სურვილის გამჟღავნება? იქნებ [illegible] პატარად თვლიან, სასაცილოდაც მოეჩვენოთ მისი განზრახვა?

იმ დღეს კოწია ბასილაძემ და ზეინკალთა ბრიგადირმა დავით მუშკუდიანმა ეთერი დეპოს უფროსთან — შალვა შენგელიასთან მიიყვანეს. ეთერი შემკეთებელ საამქროში ზეინკლის მოწაფედ მიიღეს. ეს 1942 წელს იყო — ომის ქარცეცხლიან დღეებში.

მზრუნველ კოლექტივში მუშაობა არ გაძნელებია. ერთ წელიწადში კარგად დაოსტატდა.

ახალბედა ზეინკალს ორთქლმავალი მაინც არ ავიწყდებოდა. მასზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. და როცა 1943 წელს დეპოში მემანქანის თანაშემწის კურსები გაიხსნა, სხვებთან ერთად ისიც უყოყმანოდ შეუდგა ამ რთული მანქანის შესწავლას.

ეთერ ჭეიშვილს გამოცდილ მემანქანეებთან — სერგო კიკნაძესთან, გრიგოლ ვაშაკიძესთან, სერგო ზუმბაძესთან და ანატოლ პეტუხოვთან უხდებოდა მუშაობა, მათ ქუთაისის რთულპროფილიან უბანზე „შავი ოქროთი“ დატვირთული მატარებლები დაჰყავდათ. მალე ეთერი მემანქანეთა მოსამზადებელ ერთწლიან კურსებზე გაგზავნეს თბილისში. კურსები წარმატებით დაამთავრა და ისევ მშობლიურ დეპოს დაუბრუნდა. დადგა დრო, როცა დამოუკიდებლად შეეძლო მატარებლის ტარება.

ერთ დღეს ეთერი დეპოს უფროსმა გამოიძახა.

— შესძლებ კონტროლერი რომ მოგანდოთ? — შეეკითხა უფროსი და დაკვირვებით შეათვალიერა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა ეთერმა.

შემდეგ ქალიშვილი მეორთქლმავლეთა კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა და მასზე გაპიროვნებული ორთქლმავლით ჩინებულად აწარმოებდა სამანევრო ოპერაციებს ქუთაის-პირველში, რიონში, ტყიბულში და სხვა სადგურებში. მას სატვირთო მატარებლები ამიერკავკასიის რკინიგზის ყველაზე ძნელ — ტყიბულ-ქუთაისის მთიან უბანზე გადაჰყავდა. და რაც მთავარია, უწუნოდ და უავარიოდ მუშაობდა. ნორმასთან შედარებით 2 საათით ამცირებდა ორთქლმავლის შეკეთების დროს, ყოველთვიურად დეპოს 2,5 ტონა მაზუთს უზოგავდა. დეპოში მან მოწინავე კომუნისტ-მემანქანის სახელი მოიხვეჭა.

ექვსი წელი მართავდა ორთქლმავლის საჭეს ეთერ ჭეიშვილი. 1951 წლიდან სპეციალობა შეიცვალა, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა დაამთავრა და აგერ, მეოთხედი საუკუნეა ქუთაისის სალოკომოტივო დეპოში შემფასებელ-მეგანაწესის მოვალეობას ასრულებს.

**ვანო გუხაიძე**



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო საჯაროს ბიბლიოთეკა

## ჩვენ გვწერენ



# ობლის კვერი

ეს ამბავი სოფელ არხილოსკალოში დღესაც ავადმოსაგონარი ზღაპარივით არის შემორჩენილი. სამამულო ომის ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოეშუშა ხალხს, რომ მარიკა და ალექსი ძელურების ოჯახში ავმა სენმა დაიბუდა. ტუბერკულოზით დაავადებულ ცოლ-ქმარს უკანასკნელი ნუგეში და იმედი მოხუცი დედაც ლოგინად ჩაუწვათ. სოფელმა იცოდა ეს, მაგრამ რით დახმარებოდა? თითოეულ მოსახლეს ორასი გრამი მჭადის ფქვილი ეძლეოდა! მაინც ახერხებდნენ თითო-ოროლა ლუკმის მიწოდებას. მედიკამენტებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

სამ მისავათებულ, ლანდებად ქცეულ ავადმყოფს შორის მხოლოდ ექვსი-შვიდი წლის გამხდარი გოგონა დახტოდა. ის იყო მათი ნუგეშიცა და იმედიც. მწოლიარე ავადმყოფებთან მხოლოდ მას შეჰქონდა მეზობლებისაგან მიწვდილი თითო-ოროლა ლუკმა პური. მისი მიწვდილი წყალით ისველებდნენ სიცხისაგან დამშრალ ბაგეებს სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვული მშობლები და მოხუცი ბებია.

პატარა ჩალური ქოხიდან სამ თვეში სამი კუბო გაიტანეს. ჩაქრა ალექსი ძელურის კერა. პატარა გოგონას აღზრდა თვითონ აღსაზრდელებმა — ალექსის 16 წლის ძმამ და 18 წლის დამ იკისრეს. პატარებს თვითონ ენატრებოდათ მშობლების ალერსი და პატარა ზინას როგორ აგრძნობინებდნენ ობლობას.

აქედან იწყება ზინა ძელურის შრომითი ბიოგრაფია: რვა წლისა უკვე თავთავის აკრეფაზე დაჰყვებოდა მომკელებს, ჰრიდა მზესუმზირის კალათებს, ეხმარებოდა საკვებმომპოვებლებს.

სკოლიდან პირდაპირ სამუშაოზე მიდიოდა. თოხნიდა, მარგლიდა...

მეექვსე კლასში რომ გადავიდა, ვისთანაც იზრდებოდა, ის ბიძა სავალდებულო სამხედრო სამსახურში წაიყვანეს: მამიდა გათხოვდა. მამიდამ აქაც დიდსულოვნება გამოიჩინა — ობოლი თან წაიყვანა. წელიწადნახევარი პატარა გოგონას კვლავ უცხო ოჯახში მოუხდა ცხოვრება.

საშუალო სკოლა ისე დაამთავრა, საკოლმეურნეო შრომა ერთი დღითაც არ მიუტოვებია. სოფელი ხედავდა ყველაფერ ამას, ყველას უყვარდა იგი, რომ იტყვიან თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ, მაგრამ ზინა ამაყი იყო, გამოწვდილ ლუკმას ისე არ აიღებდა, თუ მასში თავისი შრომის წილიც არ ერია.

ზინა ძელურმა სკოლის დამთავრების შემდეგ სამი წელი მეცხოველეობის ფერმაში იმუშავა მწველავად. შემდეგ კოლმეურნეობამ ლიმიტი მისცა და სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა საბუთები, მაგრამ ობოლ გოგონას ვიღაც თუ რაღაც გადაეღობა და გამოცდებამდე უკან გამოაბრუნეს.

გოგონა მეორე წელს კვლავ მიადგა სამედიცინო ინსტიტუტს და ამჯერად წარჩინებით ჩააბარა გამოცდები.

სოფელში რომ ჩამოვიდა, არავის სჯეროდა, თუ ეს პატარა, სხვის კარზე გაზრდილი, მუშაობისაგან ხელებდაშაშრული გოგონა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

შრომისა და სწავლის ექვსი დაძაბული წელი. ზინა ძელური ექიმის დიპლომით უბრუნდება მშობლიურ რაიონს და სოფელ გამარჯვების ამბულატორიის გამგედ იწყებს მუშაობას.

1975 წლის აგვისტოდან ზინა ძელური გადაჰყავთ რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. მას რაისაავადმყოფოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად ირჩევენ.

36 წლის ზინა ძელური ოთხი შვილის დედაა. აქვს ორ ათეულ წელზე მეტი შრომითი სტაჟი. აღებული აქვს სადისერტაციო თემა — წითელწყაროს რაიონში ალერგიული დაავადებების სიხშირის გამოსაკვლევად.

დიახ, ობლის კვერი გამოცხვა. ზინა ძელურმა კარგი ოჯახი შექმნა. ემსახურება რაიონის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და ხალხიც მადლიერი ჰყავს.

ეს პატარა წერილიც იმ ადამიანთა გულისთქმაა, რომელნიც დავალებულნი არიან მისი უანგარო სამედიცინო დახმარების გამო.

**უშანგი წყარუაშვილი**

## წაუკითხეთ პატარებს

### იმერი ხარაძე

### წვიმაში

წვიმა მოდის წკაპა-წკუპით,
ცას ცრემლი სდის ღაპა-ღუპით,
რა კარგია, ბებოს ვარცლში
ფეხშიშველა ტყაპა-ტყუპი.

### ცისთვალა

ესაო, მესაო,
ერთ ავდრიან დღესაო,
მიწამ პირი დაიბანა,
ცამ ცისთვალა თესაო...
დღეს თუ ხვალე აყვავდება,
გაუცინებს მზესაო...
მოიღერებს ყელსაო.
გაანათებს გზებსაო.

### ტყუპები

პატარები ნინიკო და ალეკო წლეულს პირველად ესწრებიან ახალი წლის ზეიმს. საწოლზე არხეინად წამოკოტრიალებულან და ღუღუნებენ. ბებია და პაპა, დედა და მამა საახალწლო სამზადისში არიან. ამიტომ, მეზობლის ოთხი წლის მაიას დრო მოუხელთებია და ისე გულიანად ახითხითებს და-ძმას, რომ სამზარეულომდე ატანს მათი სიცილის ხმა. ,,ლაო, ლაო, პატარა ჩიოლებო" — ენას იჩლექს გოგონა და ნაზად ეალერსება პატარებს ფუნჩულა ხელებზე. ნინიკო ნაძვის ხეზე მოელვარე ბურთულებს გაკვირვებით შესცქერის და ტკბილად ამთქნარებს. მერე ისევ იცინის და მაიკოს კაბას სასაცილოდ ექაჩება. ალეკოს ნამცეცა ხელები მუშტებად შეუკრავს და საწოლზე წამოჯდომას ცდილობს. მკლავებაკაპიწებული ბებია ველარ ძღება შვილიშვილების სიყვარულით, პაპა კი სულ მთლად გადარეულია კუდრაჭა ალეკოს საქციელით. გაუცინებს პაპა — გაიცინებს ალეკოც, დაემუქრება პაპა და — ისიც დაუსრულებლად ღუღუნებს. ოთახში ბავშვების საჭმელი შემოიტანეს. ალეკო მადიანად იცმუცნება და ეშმაკურად შესცქერის ბებიას. ნინიკოს კი საწოვარისათვის მაგრად ჩაუვლია ფუნჩულა თითები და დროგამოშვებით აჭყვიტინებს.

ამასობაში, ტყუპებს მოულოდნელად წამოადგათ თავზე ახალი წელი. პაპამ და ბებიამ ტკბილად დალოცეს საყვარელი შვილიშვილები: იხარეთ და სასახელონი დაიზარდენითო. ნინიკო და ალეკო კი სახეგაბადრულები, გულიანად ღუღუნებენ: ,,გმადლობთ, პაპებო, გმადლობთ, თქვენი ლოცვა ისე კარგად და სწრაფად აგვიხდა, რომ ამ ერთ საათში უკვე შვიდ-შვიდი თვისანი გავხდით, და მერე რაღა იქნებაო" — ეუბნებოდნენ მოხუცებს გაბრწყინებული თვალებით.

**გედეონ ძიძიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცინუკი დადიანი



სევდაჩამდგარი თვალები, ქუდიანთა სიმცირე თბილისის ქუჩებში... ღიმილის სიმეჩხრე. ყველა თანაკლასელი ვაჟი გაუწვევიათ. ომი... ვინ იცის, ახლა სად ან როგორ არიან?

„სიონში შევალ, სანთელს ავანთებ“ — ჩურჩულებს ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილი.

„სიონში შევალ“... ლექსად იძერწება.

„სიონში შევალ“... სიმღერად იბადება, რწმენად იბადება.

„სიონში შევალ“... მღერიან თბილისელები, მღერიან ფრონტელი ბიჭები.

ასე დაიბადა მისი სიმღერის ბიოგრაფიის პირველი ფურცელი.

ალბათ ბევრმა არც კი იცის, რომ ტექსტიც და მუსიკაც სიმღერისა — „სიონში შევალ“...— ერთი ქართველი გოგონას გულში იღებდა სათავეს და მოედინებოდა.

* * *

დიახ, ასეა, საკუთარ სულში სხივჩამდგარნი ვიწყებთ ცხოვრების გზას. მაგრამ ასე ჰაიჰარად სად მოიძევ რწმენას, თუ შენ თვითონ არა გაქვს გულში მისი თესლი. ხანდახან ასეც არის. ორ არჩევანს შორის ვყოყმანობთ და გვგონია, თუ ერთს მივაღწევთ, მეორეც ალალბედზე წამოგვეწევა. ერთი კია, რომ ცინუკი (ნინო) დადიანს არცერთი არჩევანი არ ხლებია ალალბედზე და, დღეს თუ იგი მომღერალთან ერთად ექიმიც არის, ამაში არაფერია უჩვეულო.

* * *

„ისევე, როგორც სხვა მრავალ ოჯახში, ჩვენს ოჯახშიც უყვარდათ პოეზია, მუსიკა. პატარაობიდანვე მხიბლავდა ქართული ლექსი და მასზე შექმნილი მელოდია — ამბობს მომღერალი. სულის სიღრმეში მოწიწებით დაცული იდეალის ხორცშესხმამ ბევრი ღამე შეიწირა. „შთაგონებამ დროულად გადმომხედა და, თუ დღეს რაიმე მაქვს, ეს სიმღერაა, რომელსაც მხოლოდ ქართული ლექსი მეგზურობს, სანთელ-საკმეველიც მისია...ბავშვობისას რამდენჯერაც ვიკითხე, როგორ გავჩნდი-მეთქი, მითხრეს ხნულში გიპოვეთო. ახლა კვლავ მინდა ვირწმუნო, რომ მაშინდელი სიტყვა მართალი იყო, მინდა დავიჯერო, რომ ქართული მიწის ხნულში დავიბადე“ — განაგრძობს მომღერალი. წყლიან თვალებს ცხვირსახოცი ეშველება, ბოდიშს იხდის. აივანს ოთახს ამჯობინებს. შევიდეთო მანიშნებს და საკრავთან ჯდება. ვგრძნობ, სათქმელის დამთავრებას სიმღერით აპირებს.

— „რა დამავიწყებს...“ ამბობს სიმღერა. „რა დამავიწყებს...“

„რა დამავიწყებს“... ჩურჩულებენ მისივე ოთახის სმენადქცეული საგნები და, აღარ მიკვირს, რად ამოცოცებულა მათს ძველებურ, თბილისურ ხის აივანზე ვაზი და სურო.

* * *

სცენის მძიმე ფარდა მომღერლისთვის იმ საღამოსაც საკმაოდ მსუბუქი და ჰაეროვანი გამოდგა. „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო...“ ტიროდა საკრავების მთელი დასტა. ცინუკი დადიანი კი ისევ განაგრძობდა:

„ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა,<br>
იეთიმს ცრემლი მეგობარი გამიხდა:“...

და თითქოს ვხედავთ, როგორ ჩამოდის სცენიდან ნაბდისქუდიანი იეთიმი.

შემზღუდველი რეგლამენტი რომ არა, ვინ იცის რამდენს იმღერებდა, უსათუოდ იმღერებდა — გრიშაშვილის „ჩემი აღმართისა“ და ტაბიძის „კაფეში შევალ“, ლეონიძის „გადამივიწყესა“ და კალანდაძის „მაგნოლიას“. და მერე, საკუთარი რეპერტუარიდანაც მოვთხოვდით, აუცილებლად მოვთხოვდით ათასი ტაშის სანაცვლოდ.

* * *

ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, მუსიკალური განათლების მისაღებად მშობლებმა მოსკოვს რომ ჩაიყვანეს. ცინუკი დადიანი არდავიწყებით უხდის მადლობას პროფესორ ვოკალისტებს — ვერა პეტროვა-ზვანცევას და ნიკოლოზ კრუჩინინს, რომელთაც უსწავლებიათ სიმღერის ცნობა, დანახვა, ლექსს კი აბა რა გამოულევდა საქართველოს პატრონს!

1976 წელი. ტიციან ტაბიძის საღამო მოსკოვში. ქართული ლექსისა და სიმღერის თაყვანისმცემელი მაყურებელი.

„მე არ ვწერ ლექსებს“...

მღერის ცინუკი დადიანი, მაღალი... მოხდენილი...

ოვაციები. მიხაკებით უნდათ გააკვირვონ ყვავილეთიდან ჩასული ქალი.

მომღერალმა იმ საღამოსაც დაუხვავა მაყურებელს სასიამოვნო ემოციები, შემდეგი ნომერიც პრემიერად მიიჩნიეს.

ხმა მჟღერი და დახვეწილი, მოძრაობა ძუნწი, — ეს არის მისი თანდაყოლილი შნო და ყისმათი.

ალბათ ამიტომაც არის ამდენი ბარათი რომ უდევს საქართველოს ტელევიზიას; უცნობი ავტორები დაჟინებით მოითხოვენ ის სიმღერები მოგვასმენინეთ, ბევრჯერ რომ მოგვხიბლა „ერთმა დადიანის ქალმაო“.

თინა რეხვიაშვილი



**ამას წინათ იუნესკოს დავალებით საბჭოთა კავშირში იმოგზაურა იტალიელმა საზოგადო მოღვაწემ მარია ჩერნემ.**

**მარია ჩერნე იყო მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში. აქ იგი ეწვია „საქართველოს ქალის“ რედაქციას და ამ სტუმრობის აღსანიშნავად დაგვიტოვა პატარა წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.**

# ჩემი თვალით ნანახული

ტუ-154 თვითმფრინავმა სამ საათში გადაუარა საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილს, რომელიც ღრუბლებში გახვეულიყო; უკან დარჩა კავკასიონის თეთრი მწვერვალები. და აი უკვე თბილისის აეროპორტში ვართ. აქედან ქალაქ რომამდე თვითმფრინავს ექვსი საათი სჭირდება, დროთა სხვაობა კი სულ ორი საათია. არსებითად, მანძილი არც ისე დიდია, მაგრამ აქ სულ სხვა სამყაროა...

ცადაწვდილი „ივერიის“ სასტუმროდან თვალს იტაცებს თბილისის მშვენიერი პანორამა.

თბილისი ფართო ხეობაშია გაშენებული. მწვანე ხეთა ჩრდილში მიმალულან სახლები; სიმწვანე სულ უფრო ხშირდება მთაწმინდის კალთებზე, ჩამოჰყვება მტკვრის ნაპირებს, მტკვარი კი მდორედ მიედინება და ქვემოთ, ქალაქის ბოლოს, ისე მჩქეფარებს, თითქოს სადღაც მიიჩქარის.

ძველებური სახლები, ოსტატურად მოჩუქურთმებული რიკულებიანი აივნები და ათასფრად შეღებილი შუშაბანდები, ეკლესიების სამრეკლოები და გუმბათები, ახალი უბნების მაღლივი შენობები, ბაღები და პარკები — ყველაფერ ამას ხედავ „ივერიის“ სასტუმროდან. და აი ახლა, როცა მწუხრი ეშვება, ათასფრად ელვარებს ჩირაღდნები და ციმციმებს რეკლამები...

სულაც არ გამიკვირდებოდა, ფეიერვერკი რომ აელვარებულიყო ცაში, როგორც ნეაპოლშია ხოლმე, იმდენად ხალისიანად და ზეიმურად წარმომიდგა ეს ქალაქი.

თბილისი მესამე ქალაქი იყო მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ, იუნესკოს დავალებით რომ ვეწვიე საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს." ამ მოგზაურობის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის ქალებმა ინფორმაცია გაუცვალონ და გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს.

ჩემთან ერთად ათზე მეტი ქალი ამავე მისიით მოგზაურობს სხვა ქვეყნებში, რათა სხვადასხვა ენაზე და საზოგადოებრივ დონეზე განიხილონ თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი, მაგრამ მთელი მსოფლიოს ქალებისათვის საერთო-საჭირბოროტო პრობლემები.

ეს არის თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლის პრობლემა, მისი უფლება-მოვალეობების პრობლემა, საზოგადოების განვითარების პროცესში და მშვიდობის დაცვის საქმეში მისი პასუხისმგებლობის პრობლემა.

იუნესკოს მიზანია დაეხმაროს ყველა ქვეყნის ქალებს შეასრულონ ის როლი, რომლის უფლებაც თავიანთი რაოდენობრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობის გამო აქვთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოიპოვონ სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლება. ჩვენ ვიცით, რომ, სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში ეს მიზანი ჯერ კიდევ მიღწეული არ არის.

ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ყველას ვუჩვენოთ, თუ რა შეუძლია ქალს, თუ მას თავისი ძალის გამოყენების შესაძლებლობა მიეცემა. მე მგონი, სიხარულს, რომელსაც თბილისში განვიცდიდი, (სადაც პირველად გახლდით), უფრო ღრმა მიზეზი ჰქონდა, ვიდრე ლამაზი პეიზაჟი, გულითადი მიღება, სტუმართმოყვარე მასპინძლებმა რომ გამიწიეს; გამვლელთა უშუალობა და ბავშვების მომხიბლავი ღიმილი. არა, ჩემი სიხარული მღელვარების ბრალია, იმ ჰარმონიულად განვითარებული საზოგადოების გაცნობისას რომ გრძნობ, სადაც ქალს ესოდენ თვალსაჩინო ადგილი ეთმობა, სადაც მამოძრავებელი ძალა ძლიერის უფლება, მბრძანებლის უფლება არ არის, სადაც ყველაზე სუსტი და გაჭირვებულიც კი თავის ადგილსა და როლს პოულობს.

მე მინდა, რომ ესოდენ ფართოდ და პროგრესულად განვითარებული საზოგადოების „ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების“ პროგრამა, რომელსაც ქალთა გულმხურვალე მონაწილეობით ახორციელებს თქვენი რესპუბლიკა, ისეთი წარმატებით დაგვირგვინდეს, როგორის ღირსიც საქართველოა.

და იმედი მაქვს, კიდევ ერთხელ ჩამოვალ თბილისში და ჩემი თვალით ვნახავ ამ პროგრესის ბრწყინვალე შედეგებს.

ამის მოლოდინში მსურს დიდი მადლობა მოგახსენოთ ყველას, ვინც დამეხმარა, რომ თქვენს ქალაქში ჩემი სტუმრობა ნაყოფიერი ყოფილიყო.

**მარია ჩერნე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანის სიყვარულით

დიდი რუსი მწერალი ა. პ. ჩეხოვი ამბობდა: ,,რა სასიამოვნოა, პატივს სცემდე ხალხს, მაგრამ რომ განიცადო ეს სიამოვნება, უნდა შეგეძლოს პატივისცემა. იყო ზრდილობიანი და მომხიბლავი — ნიშნავს, იყო ყურადღებიანი სხვების მიმართ, ტაქტიანი, თავმდაბალი, თავაზიანი". — ეს სიტყვები მარია ქოსაშვილის მიმართ შეიძლება ითქვას.

მის ბინაში ყველაფერს ნატიფი გემოვნება ემჩნევა. კედლებს ჭედური ხელოვნების ნიმუშები და ფერწერული ტილოები ამშვენებს, აქვეა საჭრეთელი. ბინა ჭეშმარიტი შემოქმედის სამყაროს მოგაგონებთ — პოეტის, მხატვრის, მოქანდაკისას... მასპინძელთან საუბარი საინტერესო და მრავალფეროვანია... იგი გატაცებით მსჯელობს ხელოვნებაზე, მუსიკაზე, მწერლობაზე, სპორტზე... და მიკვირს რამ გადააწყვეტინა ასეთი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ქალს, იურისტი გამხდარიყო?

თურმე ბავშვების სიყვარულმა! — მხოლოდ მათზე ზრუნვამ და ფიქრმა. მარიას დანგრეული ოჯახების ბედი აღელვებდა, პატარების მომავალი აფიქრებდა.

,,კანონი, ზნეობა და სკოლა", ,,საბჭოთა სამართალი მოზარდთა ინტერესების სადარაჯოზე", აი საკითხები, რომლებზეც მუშაობს და აქვეყნებს წერილებს საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი მარია ქოსაშვილი.



იგი დინჯად ყვება იმ შემთხვევებზე, რომლებსაც მისი მუშაობის პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი:

— დარჩეს შვილი ჩემთან, — მუდარით აცხადებდა სოლიდური გარეგნობის, ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცი, — უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია...

— არც მე შემიძლია, ცრემლები ახრჩობდა ახალგაზრდა ქალს...

— ...შენზე გული გამიცივდა — გაყინული ხმით ამბობდა მამაკაცი.

— სრულებითაც არ ვნანობ შენნაირი ქმრის დაკარგვას — პასუხობდა ქალი.

ისინი გაიყარნენ. მამა არც კი დაელოდა აღმასრულებელ ფურცელს და თავისი სურვილით უგზავნიდა ბავშვს სარჩოს, როგორც ,,კეთილი" მშობელი. მაშინ ბავშვი



პატარა იყო და არავინ ფიქრობდა მის მომავალ ბედზე!..

არ იქნა და ვერ აეწყო გაყრილი ცოლქმრის ცხოვრება, დედა გათხოვდა და ისევ გაშორდა ქმარს, ვერც მამამ შექმნა ჯანსაღი მეორე ოჯახი, ბავშვის სულს კი სამუდამოდ დააჩნდა მძიმე იარა.

...ძლივს მოახერხეს სამსჯავრო სხდომაზე მოეყვანათ ალიმენტის ურჩი გადამხდელი მამა. მან ორი წელი აღმა-დაღმა იხეტიალა, მიიმალა კიდეც, შვილისთვის სარჩო რომ არ მიეცა. და აი, როცა დარბაზში ექვსი წლის გოგონა შემოიყვანეს, მან ირგვლივ ვერავინ შეამჩნია, გარდა ორი წლის უნახავი მამისა, გაიქცა და ყელზე ჩამოეკიდა

მშობელს. აქ გამომჟღავნდა პატარა არსების დიდი ტრავმა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაყვება მას.

დგება სასამართლო საქმეები, იწერება ტომები, ინგრევა ოჯახები, უბედურდებიან ბავშვები. ამ სასამართლო საქმეებს იურიდიული ტერმინით „დავა ბავშვის“ შესახებ ქვია. ამ ბავშვებზე ფიქრი არ ასვენებს მარიკას. იგი ხშირად გამოდის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო ინსტანციის სხდომებზე, და რესპუბლიკის პროკურატურის სახელით თავაზობს დასკვნებს. ასეთი დასკვნებისათვის მარტო სიმართლისა და კანონის ზუსტი ცოდნა არ არის საკმარისი. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ვალდებულია საქმის მთელი ვითარება სიზუსტით შეისწავლოს, მოიმარჯვოს მყარი საფუძველი, გამოძებნოს სათანადო საშუალებები და ბრალი ისე დასდოს. მარია ქოსაშვილის მიერ დაწერილი დასკვნა მუდამ იპყრობს სასამართლოს შემადგენლობის ყურადღებას საკითხის ღრმა ცოდნით, ჭეშმარიტების გარკვევის უნარით და რაც მთავარია, მხარეთა მიმართ გულწრფელი, ადამიანური დამოკიდებულებით. მარია იბრძვის სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი იყოს.

მარია თხუთმეტი წელია საყვარელ პროფესიას ემსახურება. არცერთი მომჩივანისა და მოპასუხისათვის არ ჩაუტოვებია გულში ხინჯი. არავინ მიუღია გულგრილად და უპატივცემულოდ, არც არასოდეს ვინმესთვის მიუყენებია დაუმსახურებელი ტრავმა, მის წინ მუდამ დგას ადამიანი, ადამიანი ფიქრით, დარდით, ტკივილებით. აბა, ამ შენობაში რა მოიყვანს კაცს, თუ რაღაც დიდ სატკივარს არ შეუწუხებია!

მარია ახლა რესპუბლიკური პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორ-მეთოდისტია, მას ევალება რეს.. პუბლიკაში მომხდარი დანაშაულობების ანალიზი, მიმოხილვა, პრაქტიკულად შესწავლა. მან დაამთავრა დანაშაულის მიზეზებისა და მისი ხელშემწყობი პირობების შემსწავლელი მოსკოვის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა. მალე საკანდიდატო დისერტაციას დაიცავს, თემაზე — „დაზარალებულის უფლებების დაცვა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“. მარია ქოსაშვილი თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტია. სად არ ნახავთ, რა ღონისძიებაზე არ მოკრავთ თვალს. იგი გახლავთ რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის, საზოგადოება „ცოდნის“ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდობის ორგანიზაციის წევრი.

ცხოვრება იცვლება, წინ მიდის, მოაქვს სიახლე და სიხარული. ჩრდილი არ უნდა მიადგეს მას, რომ მეტი ცხოველმყოფელობით იგრძნო სინათლის სხივი შენს გარშემო — ეს კარგად იცის მარია ქოსაშვილმა.

ნანული ბუკია



# რძლები და დედამთილები

**შარშან ჩვენი ჟურნალის (№№ 6, 8) ფურცლებზე დაიბეჭდა ხელმოუწერელი ბარათები — რძალ-დედამთილის ურთიერთობის საკითხზე. რედაქციამ მკითხველთა მრავალი გამოხმაურება მიიღო. ვაქვეყნებთ შემოსული წერილების მიმოხილვას.**

რძალ-დედამთილის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს არცერთ სოციოლოგს, არცერთ კანონმდებელს არ შეუძლია მიუყენოს რაიმე საერთო ფორმულა, ან ერთი კანონი. სხვადასხვა ასაკის, განსხვავებული აზროვნების ქალები უცებ ძალიან ახლო ურთიერთობაში, ოჯახში ხვდებიან ერთმანეთს, უყვართ ერთიდაიგივე ადამიანი, დედას—სათაყვანებელი ვაჟი, რძალს — მეუღლე, და ზოგჯერ ეჭვიანობისა თუ გაუგებრობის ნიადაგზე წვრილმან თუ მსხვილმან საკითხებზე აქვთ დაუსრულებელი დავა, ჩხუბი და უსიამოვნება.

საერთოდ ოჯახში, რძალი და დედამთილი ხმაშეწყობილად, სიყვარულით იწყებენ ცხოვრებას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა სარძლო და სადედამთილო გაცნობისთანავე ამრეზილად დაუწყებენ ერთმანეთს ყურებას და მერე, მთელი სიცოცხლის მანძილზე უსიხარულოდ, იძულებით ეწევიან ამ ჭაპანს.

ახლა, როცა მთელი მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მუშაობენ, როცა ჩვენი პარტია და მთავრობა ასე ზრუნავენ მოხუცებული ადამიანებისათვის, უპატრონო ხანდაზმულთათვის აშენებენ სახლებსა და სანატორიუმებს, ზოგი ახალგაზრდა არც კი დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს, რა მდგომარეობაშია უკვე მოხუცი, ამაგდარი ადამიანი, რომელმაც მათს გაზრდას, მათს ბედნიერებას შეალია თავისი სიცოცხლის ნაყოფიერი წლები.

ნათქვამია, სიბერეს ყველა ნატრულობს, ბებერი კი აღარავის უნდაო. ზოგიერთ შვილსა და შვილიშვილს ავიწყდებათ, რომ მოხუცს მეტი მოვლა, სითბო და მზრუნველობა სჭირდება. მართალია, ხშირად ხანშიშესულს ხასიათი ეცვლება, ნერვული და ჭირვეული ხდება, ზოგჯერ ეჭვიანიც, მაგრამ უნდა მივუტევოთ, გავითვალისწინოთ ასაკი.

„სიბერე არ შეიძლება ბედნიერება, სიხარული იყოს. უმეცრებმა გამოიგონეს სიტყვები ბედნიერი სიბერე. სიბერე შეიძლება სიმშვიდე და მწუხარება იყოს. სიმშვიდედ იგი მაშინ იქცევა, როცა მას პატივს სცემენ. მწუხარებად მას აქცევს დავიწყება და მარტოობა. მწუხარებად ნუ გადააქცევ პაპის და დიდედის, დედ-მამის სიბერეს“. — აი, რას მოუწოდებს ახალგაზრდებს ცნობილი პედაგოგი ვ. სუხომლინსკი.

თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა შთავაგონოთ მოზარდებს უფროსის პატივისცემა, ბებიისა და პაპის სიყვარული, მათი სიბრალული.

„შვილის სარკე მისი მშობელია, ბავშვობაში აღქმულ ეპიზოდს ბავშვი თავისებურად ამუშავებს და შემდეგ ისევ ცხოვრებას უბრუნებს. ამიტომ დედებმა, ცუდი შვილის გაზრდა მარტო სხვებს — რძალსა თუ სიძეს არ უნდა გადააბრალონ, თავიანთი თავიც მოიგონონ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მოთმინება მართებთ, რათა ოჯახის სიმყუდროვე არ დაარღვიონ. სამაგიეროდ, დედამთილსა და სიდედრსაც არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ თვითონაც ერთ დროს რძლები იყვნენ.

კარგი ურთიერთობისათვის მთავარია: დედამთილმა რძალი შვილად მიიღოს და რძალმა კი დედამთილი — დედად. თუ დავაკვირდებით, სადაც ასეთი დამოკიდებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაა, იქ ყოველთვის სიმშვიდე, სიწყნარე, ურთიერთგაგება და ერთმანეთის სიყვარულია. მაგალითისათვის მინდა დავასახელო ვ. უ-ს ოჯახი. აქ რძალ-დედამთილის ურთიერთობის დიდ სკოლას დაინახავთ. განა ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტად პატივსაცემი არ არის, რომ დედამთილი შვილზე წინ რძალს აყენებს? იტყვით, რძალი კარგია და იმიტომო. მართლაც, რძლის სიკარგე დღეს მის დედამთილობაში გამოჩნდა (ეს ახალგაზრდა რძალი, ამჟამად დედამთილია), ქალიშვილისაგან არ არჩევს რძალს, ცდილობს ყველაფერი კარგი დაანახოს, ასიამოვნოს. ის დიდი სკოლა, რაც თავის დედამთილისაგან მიიღო, დღეს თავის ოჯახს სასიკეთოდ ხმარდება". თბილისი, ქ. ნეფარიძე-მაჭავარიანი.

არიან რძლები, ახალგაზრდა დედები, რომლებიც თვითონ ამძიმებენ ურთიერთობას დედამთილთან და მამამთილთან, ავიწყდებათ, რომ მათს მოქმედებას, ამ დაძაბულ დამოკიდებულებას თვალს ადევნებენ ბავშვები, შვილიშვილები, რომლებიც ძალზე განიცდიან ოჯახურ უსიამოვნებას.

უცნობი ბიჭუნა გვწერს: „ვცხოვრობ საქართველოს ერთ-ერთ ლამაზ სოფელში. მყავს დედა-მამა, ბებია და ბაბუა და სამი ძმა. ვარ მეცხრე კლასის წარჩინებული მოსწავლე. მამა ავტომანქანის მძღოლად მუშაობს, ძალიან კეთილი და პატიოსანი კაცია. ჩვენს ოჯახში გაუთავებელი ჩხუბი და კამათია. დედა ხან მამას ეჩხუბება, ხან ბებიასა და პაპას, აქამდე ბავშვები ჩხუბის მიზეზს ვერ ვხვდებოდით და გვეგონა მოხუცები იყვნენ დამნაშავენი. დედა მათ სურვილის მიხედვით აჭმევდა, თუ არა და, მშივრები იყვნენ, (პატარებს გვეცოდებოდა მოხუცები და ჩუმად ვკვებავდით). მერე ბებია გარდაიცვალა. მე თვითონ გავიგონე, ხალხი ამბობდა, მშიერი მოკლეს და ახლა დიდის ამბით ფულის აკრეფისათვის მარხავენო. დედა რომ ტირილს დაიწყებდა, აქა-იქ იცინოდნენ. ის პაპას ჰპირდებოდა, ისე შეგინახავ, ცივ ნიავს არ მოგაკარებო. ახლა საწყალ პაპას სიკვდილი ენატრება.

ნუთუ დედაჩემი, თითქოს ქმარშვილისა და ოჯახის მოსიყვარულე, ასე უნდა იქცეოდეს? რატომ არ უნდა ფიქრობდეს, რომ ჩვენ უკვე დიდები ვართ და სოფელში და ხალხში გასვლა გვინდა"...

აი დედა, რომელიც სამართლიან საყვედურს იმსახურებს მოსწავლე ვაჟისაგან. მას ავიწყდება, რომ ჯერ თავისთავს უნდა წაუყენოს ის მოთხოვნა, რაზეც ის შვილებისაგან უკვე მსჯავრდადებულია და მერე სხვებს უმიზეზოდ ედავოს და ეჩხუბოს. რატომ? თვითონაც არ იცის. რა თქმა უნდა, ის მომავალში ავი და აუტანელი დედამთილი იქნება, ისეთი, როგორზეც ერთი ახლადგათხოვილი გოგონა ბარათს გვიგზავნის: „ჩემი ბედი ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს დავუკავშირე. ბედს არც ვემდური. მე და ჩემ მეუღლეს ფრიადოსნის სტიპენდია გვაქვს. ქორწინებამ ხელი არ შეგვიშალა წარმატებით სწავლაში. მალე პატარა არსებაც შემოგვემატება. მაგრამ ჩემი დედამთილი ჩრდილს აყენებს ჩვენს ბედნიერებას. მან ჯერ მეზობლებში დაიწყო ჩემი ლანძღვა, ახლა ოჯახშიც აღარ მასვენებს: რას გამოიქეცი და დამიჯექი, როდის გეპატიჟებოდიო, ჩემს ხარჯზე ხართო, არც მზითევი მოგყოლიაო. ყველაფერს მიწუნებს. თუ ოთახში თვალს მომკრავს, წყევლა-კრულვით ჩამივლის გვერდით. ჩემი მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, ღამეებს ტირილში ვათენებ".

ასეთ დედამთილს ვერ გავამართლებთ. ოჯახში ცხრამეტი წლის რძალი შედის, ცხოვრების გამოცდილება არა აქვს და უფროსისაგან, დამხვდურისაგან ელოდება რჩევა-დარიგებას, საოჯახო საქმის სწავლებას, ქმრის მახლობლებისა და ნათესავების გაცნობას. ავი დედამთილი კი ისე იღებს, როგორც ამ ბარათშია მოთხრობილი. ახალგათხოვილ ქალს, რომელიც უკვე ფეხმძიმედ არის, ერიდება დაისვენოს. იცის, რომ დედამთილი ამაზეც ჩხუბსა და აყალმაყალს აუტეხს. მერე, როცა რძალი თანდათან დასუსტდება, ამასაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, ავადმყოფი ყოფილაო. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში დედამთილი შეუგნებლად იქცევა. ის არც შვილის ბედნიერებაზე ფიქრობს და არც ჯერ კიდევ მუცლადმყოფი შვილიშვილის ჯანმრთელობაზე.

„მე ვფიქრობ, როცა ოჯახში ახალი წევრი შემოდის, დამხვედრზე ბევრია დამოკიდებული — როგორ მიიღებ, როგორ გარემოს შეუქმნი საცხოვრებლად. ვამტყუნებ დედას, რომელიც თავის შვილს სიცოცხლეს უმწარებს იმიტომ, რომ თვითონ არ მოსწონს რძალი. მაგრამ თუ მის შვილს უყვარს? დედა-ბებია ნუთუ არ ფიქრობს, რომ თავის შვილიშვილს უკარგავს დედას ან მამას, ერთ-ერთით დაკარგული ბავშვი კი არ გახდება ისეთი სულით მტკიცე და კარგი ადამიანი, როგორც დედასთან ან მამასთან გაიზრდებოდა.

მეც მყავს ორი ვაჟიშვილი. ორივემ ჩვენს დაუკითხავად შეირთო ცოლი. მართალია, თავიდან ძალიან გავბრაზდით, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემს შვილებს თავიანთი ცოლები უყვარდათ, მეც რძლები ისე შევიყვარე, როგორც ღვიძლი შვილები. თქვენც მოგიწოდებთ, იყოთ ისეთი მოსიყვარულე დედამთილი, რომ სიბერის წლებში რძალმა სიყვარულით მოგიაროთ". თბილისი, მ. მ.

არიან წინდახედული, ჭკვიანი ქალები, რომლებიც ქმრის ოჯახში ყოველგვარ უსიამოვნებას უსიტყვოდ იტანენ. შემდეგ თავისებური ტაქტითა და კარგი ხასიათით ისე მოაწყობენ ცხოვრებას, როგორც ოჯახის წევრებსა და მეუღლეს ესიამოვნება. ისინი ამით საკუთარ ბედნიერებასაც იქმნიან, შვილებსა და შვილიშვილებსაც მომავალში ბედნიერებას უქმნიან.

გურჯაანიდან ნ. გ. გვწერს: „პირველი რძალი ვიყავი დიდ ოჯახში, დამხვდნენ დედამთილი, მულები, მაზლები. ვერ წარმომედგინა ამდენ ხალხში ცხოვრება და მეუღლეს ფრთხილად ვაგრძნობინე. მან შემომხედა და ასე მიპასუხა: დედას და [illegible] ვერ ვიშოვი, ცოლს კი კიდევო, ისინი შენ არაფერს გიშლიანო... უცებ მივხვდი ჩემს შეცდომას და დავასწარი, მე ყველა მიყვარს მეთქი. მართლაც, მათს ოჯახში კარგად ვგრძნობდი თავს და რატომ უნდა წავსულიყავი. მერე მულები და მაზლები დაბინავდნენ. ახლა ყველას ერთმანეთი გვიყვარს და ბედნიერად ვცხოვრობთ".

ოჯახში მთავარი მაინც კაცია. ის თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს, მან უნდა მიუჩინოს ყველას თავისი ადგილი.

„დედა არასდროს დაამცირო მეუღლესთან. მას უნდა შთაუნერგო, რომ ამ ქვეყნად, დედაზე მეტად არავინ გიყვარს, მაშინ ის ვერასოდეს გაბედავს თქვენი დედის დამცირებას და, პირიქით, დედასაც უნდა აგრძნობინო, რომ მეუღლეს აფასებ და ვერ იტან მასზე ძვირის თქმას. აი, მაშინ დამყარდება თქვენს ოჯახში სიმშვიდე". რედაქციას წერს ხაშურიდან ი. კ.

„მაგრამ ზოგიერთი კაცი ცოლის უაზრო და გაუთავებელი ლაპარაკის მორჩილი ხდება. აბა, ვის მოეწონება, როცა თავმომწონე ახალგაზრდა დედას, დებსა და მახლობლებს აუგად იხსენიებს, მტრებადაც თვლის. განა შეიძლება დებზე მეტად ძმას ვინმე აფასებდეს ან დედაზე მეტად შვილი ვინმეს უყვარდეს? იქნებ გაიხსენოთ ძველისძველი ლეგენდა — „დედის გული".

...ქვრივ დედას ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. როცა ბიჭი წამოიზარდა, ერთი ლამაზი გოგონა შეუყვარდა. დედაშენზე მეტად თუ გიყვარვარ წამოგყვები ცოლად, თუ არა და — არაო. ამოართვი დედაშენს გული და მომიტანეო. არ დაფიქრებულა მიჯნურობის ალში გახვეული ვაჟი. მძინარე დედას გული ამოართვა და სატრფოსაკენ გააქანა. ისეთი თავგამოდებით გარბოდა, რომ ქვას ფეხი წამოჰკრა და ორივე ხელით მიწას დაასკდა. დედის გული მძიმედ დაეცა მიწაზე და დაიკვნესა: — ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა, ხომ არაფერი გეტკინაო"... გურჯაანი. ლ. ბ.

ასე ძვირფასი და საოცრად მოყვარული მხოლოდ დედის გულია. მას გაფრთხილება და პატივისცემა სჭირდება. შვილებსა და შვილიშვილებს, რძლებს და სიძეებს ნუ დაავიწყდებათ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ვცხოვრობთ, იმ ქვეყანაში, სადაც პარტია და მთავრობა ასე ზრუნავს ადამიანზე, მოხუცებულებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ახალი კონსტიტუციის პროექტი, სადაც 43-ე მუხლში წერია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, აგრეთვე შრომისუუნარობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება".

ეს სიტყვები საწინდარია ჩვენი მშობლების, ბებიებისა და პაპების უზრუნველი სიბერისა და ახალგაზრდებსაც უფრო მეტს ავალებს.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ნამცხვარი „ასფურცელა“

400 გრ. მარგარინი და 4 ჭიქა ფქვილი ერთად დავკეპოთ ისე, რომ ერთგვაროვანი ფხვიერი მასა მივიღოთ. ჩავყაროთ ჯამში და გავთქვიფოთ ერთ ჩაის ჭიქა წყალში, დავუმატოთ სოდა, მარილი, ძმარი და მოვზილოთ. ცომი გავყოთ ხუთ ნაწილად, გამოვაცხოთ სათითაო ფირფიტებად და წავუსვათ კრემი.

### კრემის მომზადება

3 კვერცხის გული ავთქვიფოთ ერთ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, ვუყოთ ერთი სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 1 ჭიქა რძე. ეს ნარევი ჩავასხათ 2 ჭიქა ანადუღარ რძეში და ვურიოთ მანამდე, სანამ არ გასქელდება. ეცადეთ არ მიიწვას.

**ასმათ ბაბოძე,**
**კასპის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე.**

## როგორ მოვუაროთ ფეხსაცმელს

**ტ**ანსაცმლის საერთო ანსამბლში ფეხსაცმელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტყუილად როდი ამბობენ, კარგად ჩაცმული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ფეხზე იცვამს კარგადო.

ფეხსაცმელი დიდხანს რომ გვემსახუროს, მისი „ენა“ უნდა გვესმოდეს!

დღეს ფეხსაცმელი იკერება სხვადასხვა ნატურალური და ხელოვნური ტყავისაგან, ამიტომ თითოეულ მათგანს მოვლაც თავისებური სჭირდება.

**დეკეულის ქრომის** ტყავისაგან შეკერილ ფეხსაცმელს გავიხდით თუ არა, მაშინვე ჯაგრისით მოვაცილოთ ჭუჭყი და რბილი ჩვარი გადავუსვათ.

სველი ფეხსაცმელი სწრაფად რომ გაშრეს და ფორმა არ დაკარგოს, შიგ გამმართველი კალაპოტი ჩავდოთ ან გაზეთის ქაღალდი ჩავტენოთ, რომ სწრაფად გაშრეს: ფეხსაცმელი მხოლოდ ოთახის ტემპერატურაზე უნდა გაშრეს.

გამშრალ ფეხსაცმელს წავუსვათ სპეციალური საცხი, და როცა შეშრება, ჯერ რბილი ჯაგრისი გადავუსვათ, მერე კი რბილი ჩვრით გავაპრიალოთ, საცხი ფეხსაცმლის ფერისა უნდა შეირჩეს. შეიძლება ვისარგებლოთ უფერული საცხითაც.

**იუხტის ტყავისაგან** შეკერილ ფეხსაცმელს ისევე უნდა მოვუაროთ, როგორც ქრომისას, ოღონდ ესაა იუხტის ტყავი იოლად სველდება, ამიტომ საცხის წასმის შემდეგ ფეხსაცმელი გავაპრიალოთ პრიალა აფსკის წარმოქმნამდე, რაც პირს ნამისაგან დაიცავს.

**„ველიურის“ ფეხსაცმელს** ჭუჭყი და მტვერი მაგარი ჯაგრისით მოვაცილოთ, გავაშროთ წერილში მოთხრობილი პირველი ვარიანტით, შემდეგ თხლად წავუსვათ ველიურისა და ნატის ფეხსაცმლისათვის განკუთვნილი ფხვნილისებრი ან თხევადი პრეპარატი, ხაო რბილი ჯაგრისით გავასწოროთ. ცხიმის ლაქების მოცილება ტანსაცმლის საწმენდი პრეპარატებით შეიძლება.

**ლაკის ფეხსაცმელს** ზომიერ ამინდში იცვამენ, თანაც დროგამოშვებით, რადგან ლაკის ფენა კანს ნორმალური სუნთქვის საშუალებას არ აძლევს და ფეხი ოფლიანდება. ნესტიან ამინდში ლაკის მბზინავი პირი მკრთალდება და სკდება.

ლაკის ფეხსაცმელმა რომ ფეხის ტემპერატურა მიიღოს, ბინიდან გასვლამდე ათი წუთით ადრე ჩაიცვით. იგი გაწმინდეთ რბილი ჩვრითა და ჯაგრისით. თუ პირი დასკდა და პეწი დაკარგა, თხლად წაუსვით სელის ზეთი და გააპრიალეთ.

ქრომის ნატისა და შევრო ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი გავასუფთაოთ პირველ ვარიანტში აღწერილი წესით. გარდა ამისა გავითვალისწინოთ მისი ნაზი, აბრეშუმისებრი პირი და რბილი ჯაგრისით გავწმინდოთ.

**თენგიზ კახელიშვილი,**
**საქონელმცოდნე.**

# წარსულიდან

## მარიამ ჭამბაკურ-ორბელიანი

ერეკლე მეფის საყვარელი ასულის—თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი და XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის ერთადერთი ასული მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (იგი დაიბადა 1852 წელს), 1872 წლის შემდეგ, თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს მეუღლის დედის, ნინო თორნიკეს ასული ერისთავის მამულში — ლამისყანაში ატარებდა. პოეტის ასულს ძალიან მოსწონდა ამ სოფლის ლამაზი ხედები, შემაღლებულ ადგილას ზვიადად წამომართული სასახლე, მისი საუცხოო მოწყობილობა და მდიდარი ბიბლიოთეკა.

ამ სასახლეს მრავალგზის სწვევიან სტუმრად და სიამოვნება განუცდიათ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს. მარტო ის რად ღირს, რომ იქ, ლამისყანის სასახლეში მრავალგზის დაუსვენია ცნობილ პოეტს — ვახტანგ ორბელიანს. მამამისის ერთ-ერთ სტუმრობას მარიამ ორბელიანი ასე იგონებს:

„1876 წელს, მამა, საზღვარგარეთიდან მოგზაურობის შემდეგ, პირდაპირ ლამისყანაში მოვიდა. სადგურ კასპში მარტო მე დავხვდი. მთელი გზა კასპიდან ლამისყანამდე მამა მიზიარებდა მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და თუ სიტყვას შეწყვეტდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ირგვლივ გულდასმით მიმოეხედა და მერე დავერწმუნებინე, რომ „საქართველოსთანა ლამაზი მაინც არაფერია“.

ვახტანგ ორბელიანს უყვარდა თავისი წინამორბედი პოეტის (დავით გურამიშვილის) ნაკვალევზე ყოფნა, ხშირად გაირინდებოდა ხოლმე და სასახლის აივნიდან სევდიან თვალებს მოავლებდა იმ ადგილებს, საიდანაც გაიტაცეს დავით გურამიშვილი.

შემდეგ წლებში ორბელიანის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი

---

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲚᲐᲢᲐᲕᲠᲐ ᲤᲝᲩᲘᲐᲜᲘ; ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ—ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ.
Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲡᲚᲐᲘᲓᲔᲑᲘ.


| | | |
|---|---|---|
| **რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი** | სარედ. კოლეგია: Ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (მხატ. რედაქტორი), Თ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ) ტექრედაქტორი Ნ. ბუკია | **საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა** |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-94-54. გადაეცა ასაწყობად 4/VII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-77 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 123 000; შეკვ. 2306; უე 00787; **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მარიამ ორბელიანი მისი ნათლიის მამიდა იყო), რომელმაც სწორედ იქ ლამისყანაში 1913 წელს აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ XV საუკუნის ხელნაწერი, რომელიც „ანასეული ნუსხის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ლამისყანელებს გამორჩევით უყვარდათ მარიამ ორბელიანი. მარიამი ყოველთვის მათთან ტრიალებდა, მათს ჭირსა და ლხინს იზიარებდა. დღესაც მოწიწებით იგონებენ მის სახელს ღრმად მოხუცებულები. აი, როგორ იხსენებს მას 90 წელს გადაცილებული მიხეილ ქენქაძე, რომელსაც ორბელიანების სასახლეში უმუშავია: „ის ხალხის ღმერთი იყო. სულ ერთთავად ხალხზე ფიქრობდა, ავად რომ ვინმე გახდებოდა, კნიაზიაანთას მიგვყავდა. გვიშველეთო. მარიამი და მისი დედამთილი წამლებსაც აძლევდნენ და პატრონობდნენ კიდეც. ხალხისთვის არაფერი ენანებოდათ. ნობათს რომ მივართმევდი ხოლმე, საეისლღეში ცარიელს არ გამომიშვებდნენ. სხვები ესე როდი იქცეოდნენ. მე კნეინა ბევრჯერ მელაპარაკებოდა ხოლმე, მარიგებდა. ის გლეხის შვილებს წერა-კითხვასაც ასწავლიდა“.

მარიამ ორბელიანი ბევრს ზრუნავდა სოფლისათვის. თვითონ მარიამი იგონებს: „ყველანი და განსაკუთრებით ბავშვები ძალიან მალე დამიმეგობრდნენ. გავიდოდი თუ არა ეზოში ან ბაღში, ისინი ჩემთან გროვდებოდნენ. მალე მოვაწყე დაწყებითი სკოლა, რომლის ერთადერთი მასწავლებელი მე ვიყავი, ეს არც მთავრობისთვის შეთანხმებია, არც რაიმე პროგრამა მქონია. ვასწავლიდი წერა-კითხვას. იმხანად ლამისყანაში მოვიდა სასოფლო სკოლების ინსპექტორი. ინსპექტორი სადილად მივიწვიეთ როცა გაიგო ჩემი პედაგოგიური მუშაობის ამბავი სერიოზულად მითხრა: „ადვილი შესაძლებელია დიდი უსიამოვნება მიაყენოთ თქვენს თავს, თუ უნებართვოდ განაგრძობთ ბავშვების სწავლებასო“. მე სიცილად არ მეყო მისი შენიშვნა და სანამ სოფელში ვიყავი, არ შემიჩერებია ბავშვების სწავლა-აღზრდა“.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ლამისყანაში სკოლის გახსნის შემდეგაც არ შეუწყვეტია სოფლელი ბავშვების სწავლა-განათლებაზე ზრუნვა. 76 წლის პავლე ქართველიშვილი იგონებს: „ბიჭები ვიდექით, გამოიარა მარიამმა, გვითხრა; მაგ სკოლაში დადიხართო? დავდივართო — ვუპასუხეთ. 2-3 აბაზი მოგვცა, წიგნები იყიდეთო. თავადებს არ უნდოდათ გლეხების შვილებს ესწავლათ, მარიამი კი თვითონაც გვასწავლიდა და გვეხმარებოდა კიდეც“.

მარიამი გლეხებში აგიტაციას ეწეოდა სწავლის სარგებლობაზე. ხშირად ეხმარებოდა მატერიალურად სოფლის სკოლას.

1896 წლის „ივერიის“ № 29-ში ლამისყანის სკოლის მასწავლებლის ასეთი შინაარსის წერილი დაიბეჭდა: „ნება მომეცით, თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადოთ მე და ჩემმა მოწაფეებმა მარიამ ჯამბაკურ ორბელიანს, რომელმაც კეთილ ინება და ლამისყანის



სკოლისათვის დაუკვეთა 1896 წ. საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

მარიამი, პოეტის ასული და მეუღლე მეფისნაცვლის ადიუტანტისა, თვითონაც გავლენიანი და თან უაღრესად განათლებული ქალი, ყოველნაირად მფარველობდა სოფელს.

ახლაც ახსოვთ ხანდაზმულ ლამისყანელებს, სოფელს ყაზახთა დამსჯელი რაზმი რომ შემოესია. ამ დროს კაცები ყანაში მუშაობდნენ. ყაზახებმა ქალებისა და ბავშვების აწიოკება დაიწყეს, მაშინ რამდენიმე სოფლელი აფრინეს მარიამთან. ის ძალიან გაჯავრდა და საქმეში ჩაერია. ყაზახებმა მაშინვე დატოვეს სოფელი და ბოდიშიც კი მოიხადეს.

ორბელიანებმავე დაარსეს სოფელში პატარა ფოსტა (სასახლეში), დაიქირავეს ვინმე დათა ოსიშვილი, რომელსაც ყოველდღიურად აჰქონდა სოფელში ჟურნალ-გაზეთები, და ამრიგად სოფლელები ახალ ამბებს იგებდნენ. მათვე გაიყვანეს სოფელში წყალი. 1885 წელს მათვე (მარიამის ინიციატივით) გამართეს სცენისმოყვარეთა წარმოდგენა.

ასე ყოველნაირად ანათლებდა და მფარველობდა სოფელს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი.

ამ განათლებული ქალის მოღვაწეობა მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა, მრავალ საზოგადო საქმეს აკეთებდა. 1882 წელს არჩეული იყო ქართულ ვაჟთა სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის წევრად, შემდგომში — თავმჯდომარედ და 35 წლის მანძილზე ემსახურებოდა ამ საქმეს; იყო მასწავლებელ ქალთა საზოგადოების წევრი; 1894 წელს, პეტრე უმიკაშვილის და ი. გოგებაშვილის დახმარებით საკუთარი ხარჯით გამოსცა ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის ლექსების სრული კრებული; 1906 წელს დააარსა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც დახმარებას უწევდა რევოლუციონერთა ოჯახებს; მარიამ ორბელიანი იყო აგრეთვე თბილისის ქალთა ქართული სკოლის დაარსების ინიციატორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი...

მარიამმა, მეუღლესთან ერთად ფულადი წვლილი გაიღო უნივერსიტეტის დაარსებისათვის. მოღვაწე ქალი დიდ, სამამულიშვილო საქმეში გვერდში ედგა ივანე ჯავახიშვილს. რის გამოც იგი 1918 წელს უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრად აირჩიეს.

70 წლისა შეეგება მარიამი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებას და მას შემდეგაც განაგრძობდა კულტურულ მოღვაწეობას, როგორც მთარგმნელი და უცხო ენების მასწავლებელი. მან თარგმნა უ. შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალიშვილები“, რომელიც 1924 წლის ნოემბერში დადგა კოტე მარჯანიშვილმა.

მარიამი — მეფეთა შთამომავალი ქალი, გლეხების ცხოვრებით სუნთქავდა. ფუფუნებასა და უაზრო დროსტარებას ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულ შრომას ამჯობინებდა, მისი სიკეთისათვის იბრძოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ახალი ცხოვრების შენებაში.

89 წლის მარიამმა საფლავში ჩაიტანა დარდი ომის განსაცდელში მყოფ სამშობლოზე. იგი გარდაიცვალა 1941 წლის 23 აგვისტოს ქ. თბილისში და დატოვა კეთილად მოსაგონარი სახელი.

ᲓᲐᲚᲘ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.



6 198/131

ИНДЕКС 76178